საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 10 დეკემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 20 მანეთი, განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი მეოთხე გვერდზე 15 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—62

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 282 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 282

ღრმად დამწუხრებულნი: გიორგი ხუციშვილი, ნატალია ხუციშვილისა, მარგარიტა, მიშა, ვასო, ჟორჟიკა და რაია ხუციშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას

რაჟდენ ჯავახიშვილის

მიცვალებულს წაასვენებენ ქ. გორში და დაკრძალავენ იქვე. (3929—2—2)

გულდაწყვეტილი შვილები: სანდრო, მღ. გრიგოლ, პლატონ, ვლადიმერ, დავით და ანტონ დიმიტრის ძენი და ქალები: ანნა, მარუსი, ლიდა, სონია, პაშა და იულია შვილებით აუწყებენ გარდაცვალებას უსაყვარლესის დაუვიწყარის დედის

ლიზა (ელისაბედ) ბ. დევან აბაშიძის ასულის ტატიშვილისას

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. ცხრუკვეთში, შორაპნის მაზრა, 12 დეკემბერს, დილით კვირას. (3948—1—1)

დამწუხრებული გიორგი ნადირაშვილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას ბიძის

ეგნატე დავითის ძე ნადირაშვილის

რომლის დასაფლავება მოხდება 10 დეკემბერს პეტრე პავლეს ეკლესიის გალავანში. (3936—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მარიამ, შვილები ნინო და შურა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი

ეგნატე დავითის ძე ნადირაშვილის

დაკრძალვა მოხდება 10 დეკემბერს პეტრე-პავლეს ეკლესიის გალავანში. (3936—1—1)

ძმები: ვანო, პავლე, გრიშა, კოტე, დაი ელენე, რძლები: ნინუცა, პაშა, ანიჩკა და ძმის წული აჩიკო საყვარელი ძმის მწუხარებისგან გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს, რომ 11 დეკემბერს დილით შაბათს დილის 10 საათზე გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ქალაქ ტფილისში ქვაშვეთის ეკლესიაში ბოლშევიკებიდან ვერაგულად მოკლულ ქალაქ ბაქოში

პეტრე არჩილის ძე საყვარელიძის

სულის მოსახსენებლად. (3944—1—1)

გულდათუთქულნი ძმისწულები: ლევან, გრიშა და გიორგი სერგოს ძე ალავიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს, რომ 11 დეკემბერს დილით შაბათს დილის 10 საათზე გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ქალაქ ტფილისში ქვაშვეთის ეკლესიაში ბოლშევიკებისაგან ვერაგულად მოკლულ ქალაქ ბაქოში

პეტრე არჩილის ძე საყვარელიძის

სულის მოსახსენებლად. (3944—1—1)

ვიქტორი, ალექსანდრე, ილია, დავითი, კონსტანტინე, ედუსი, ვასასი, მარიამი, ავრაფინა და ეკატერინე სამსონის ძენი და ასულნი ასათიანები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათთვის უსაყვარლესი ბიძაშვილის

არსენ ქელეშბეგის ძე ბარდაფხაძის

უდროოთ გარდაცვალებას. ცხედარის გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან სადგურზე კვირას 12 დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე დაკრძალვა მოხდება ლეჩხუმის მაზრაში ს. ბარდნალას. (3945—1—1)

გულდათუთქულნი: დაი გალინა, სიძე სვიმონ და დისწულები ნენე და ზურაბ ალავიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს, რომ 11 დეკემბერს დილით შაბათს დილის 10 საათზე გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი ქალაქ ტფილისში ქვაშვეთის ეკლესიაში ბოლშევიკებისაგან ვერაგულად მოკლულ ქალაქ ბაქოში

პეტრე არჩილის ძე საყვარელიძის

სულის მოსახსენებლად. (3944—1—1)

შინა-მრეწველობის განყოფილება

ეძებს

ინსტრუქტორ-მოხელეს

კალათების საწნავ და ბამბუკის დასამუშავებელ სახელოსნოს ხელმძღვანელად, რომელიც იმყოფება მუშტაიდის ბაღში, თხოვნა მიიღება განყოფილებაში იქვე 9—3 ს. (3941—2—1)

ტფილისის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს ა. წ. 12 დეკემბერს

ხმოსანთა ყრილობას

განსახილველია: 1) ახალი თავმჯდომარის არჩევნები, 2) მიმდინარე საკითხები.

(3937—1—1) სამაზრო ერობის გამგეობა.

შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდისაგან

იმ მუშის და მოსამსახურის დამქირავებლები, რომლებიც ღებულობენ მუშათა მაგიდიდან სურსათ-სანოვაგეს, ვალდებულნი არიან 15 ამა დეკემბრამდე შეიტანონ

დეპოზიტის დასაფარავად

5000 მან. თვითეულ მუშა-მოსამსახურეზე. თავის დროზე ფულის შეუტანლობა გამოიწვევს მაგიდიდან სურსათ სანოვაგის მიღების შეწყვეტას. ფული მიიღება მუშათა მაგიდის სალაროში (კირკის ქ., აფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების შენობაში) ყოველ დღე დილის 9 საათ. შუადღის 3 საათამდე.

შრომის სამინისტროს საქმეთა მმართველი ი. გოლდმანი.

მუშათა მაგიდის გამგე ვ. ფირაძე. (ნ. 5—1)

იყიდება სახნავი მიწა

სიღნაღის მაზრაში ალაზან გაღმა კაბალის მახლობლად სოფელ თელაზედ სამოსახლო ადგილი 6 დესეტინამდის. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ აქ მოსკოვის შესახვევი № 13. იკითხეთ მიხეილ ვ. ჩნაძე. (3933—2—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

კარლ კაუცკის ახალი წიგნი

სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

თარგმანი გერმანულ ხელნაწერიდან

გამოცემა ს. ს.-დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტისა.

წიგნი ღირს 70 მ. წიგნების შეძენა შეიძლება გაზ. „ერთობის" კანტორაში.

მუშათა ორგანიზაციები რომლებიც თითონ წაიღებენ რედაქციიდან არა ნაკლებ ათი ცალისა წიგნი დაეთმობათ 20%.

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

კვირას, დეკემბრის 12-ს

სახალხო გვარდიის საღამო

მოხსენება თანამედროვე მომენტის შესახებ | **ბერდო-ზმანია** ალ. შანშიაშვილისა.

დეკორაციები და ტანისამოსი მხატვარ ვალ. სიდამონ-ერისთავისა. მუსიკა დ. არაყიშვილისა. ბალეტი და ხორო. სიმფონიური ორკესტრი ალ. გვილდიანის ლოტბარობით. დასაწყისი სად. 8 ს. რეჟისორი ალ. ახმეტელი. ბილეთები კასაში. (ნ. 3—2)

სახელმწიფო ოპერა

პარასკევს, 10 დეკემბერს

აბესალომ და ეთერი

შაბათს 11 დეკემბერს მუშებისთვის ბალეტის სპექტაკლი მორდკინისა კოპელია კვირას 12 დეკემბერს ქართულ ენაზე ოპერა **დალატი** ორშაბათს 13 დეკემბერს ბალეტის საღამო [illegible]

საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეია

ამით აცხადებს, რომ კვირას 12 დეკემბერს ნაშუადღევის პირველ საათზე გალერეის შენობაში რუსთაველის პროს. 13 გაიხსნება

ძველი მხატვრობის სურათების გამოფენა

გამოფენილ იქნება სურათები ძველი ქართული, სპარსული და ევროპიული მხატვრობისა დაწყებული მე-16-ტე საუკუნიდან ვიდრე მე-19-ტე საუკუნემდე. მხატვრულ და კულტურულ საზოგადოების და პრესის წარმომადგენლებისათვის გამოფენაზე შესვლა უფასოა. მოწვევის ბარათები არავის გაეგზავნება.

(3947—2—1) გალერეის დირექტორი შევარდნაძე.

დემოკრატიული სახელმწიფო და სამღვდელოება

საქართველოს დემოკრატიის წინააღმდეგ ამ უკანასკნელ ხანებში ერთდებიან ყველა რეაქციონური ძალები. ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან მემამულეთა კლასის და გასპეკულიანტებული ბურჟუაზიის პარტიებს თავის დღეში ისე არ აუმაღლებიათ ხმა, როგორც დღეს. არის ნიშნები, რომ შინაური რეაქცია, რომელიც რევოლიუციის დასაწყისში დაიფანტა და დაიქსაქსა, დღეს ერკვევა და ძალას იკრებს.

ცხადია, ამ რეაქციონურ კონცერტში სამღვდელოებამ უნდა საპატიო ადგილი დაიჭიროს. დემოკრატიულ წესების დამყარებამ, ხალხის ხელმწიფების განმტკიცებამ და წოდებრივ უპირატესობათა მოსპობამ სამღვდელოებასაც წაართვა ის უპირატესობანი და ის პრივილეგიები, რომლებითაც იგი სარგებლობდა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. სამღვდელოებას აქვს საბუთი გულისტკივილით იგონებდეს „დალოცვილს" დროს, როდესაც რეაქციონური სახელმწიფო და მისი სულის ჩამდგმელი კლასები ეყრდნობოდენ მას, როგორც თავის მთავარ ბურჯს, და არ იშურებდენ მისთვის ხალხისაგან წართმეულს სარჩო-საბადებელს. სამღვდელოებაც, თავის მხრით, პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას თავის კეთილისმყოფელთადმი და გაბატონებულ კლასთა მიერ განაწამებ ხალხს ასწავლიდა მოთმინებას, მორჩილებას, ტანჯვის ატანას და ყველა ამისათვის ბედნიერ ცხოვრებას საიქიოს ჰპირდებოდა. ყველასათვის აშკარაა, რომ სამღვდელოებამ დიდი როლი ითამაშა ძველი წესების გამაგრებაში, ახალი წესების წინააღმდეგ ბრძოლაში და კაცობრიობის წინსვლის შეფერხებაში.

მიუხედავათ ყველა ამისა, საქართველოს დემოკრატია სახელმწიფო ძალაუფლების თავის ხელში ჩაგდების შემდეგ მკაცრით არ მოეპყრა სამღვდელოებას. მან მხოლოთ ისეთი ზომები გაატარა, ურომლისოდაც შეუძლებელი იყო საზოგადოებრივი წინსვლა და დემოკრატიული წესწყობილების განმტკიცება. უმთავრესი ამ ზომათაგანი იყო საეკლესიო და სამონასტრო მიწების ჩამორთმევა და მათი დარიგება გლეხთათვის, ან სახელმწიფოს საკუთრებათ გამოცხადება. ჩვენი დემოკრატიის ლმობიერება იმდენათ დიდი იყო, რომ აქამდის კანონმდებლობითი გზით ჯერაც არ გატარებულა კანონი ეკლესიის განცალკევებისა სახელმწიფოსაგან, კანონი, რომელიც აუცილებელია დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. ამ კანონის გატარება ჩვენმა დემოკრატიამ კონსტიტუციის მიღებამდის გადასდო.

დღეს დამფუძნებელი კრება უკვე შეუდგა კონსტიტუციის პროექტის განხილვას. ამ პროექტში შეტანილია ეკლესიის განცალკევება სახელმწიფოსაგან, ამ კანონს დამფუძნებელმა კრებამ უკვე მოუმზადა ნიადაგი რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონის გატარებით: მან სასკოლო პროგრამებიდან ამოშალა საღვთო სჯულის სწავლება, დააწესა სამოქალაქო რეგისტრაცია დაბადებულთა და გარდაცვალებულთა, შემოიღო სამოქალაქო ქორწინების წესი. ყოველი ამ ზომათაგანი სამღვდელოებას ემწარება, რადგან ზღუდავს მის სარბიელს და ამცირებს გავლენას ხალხში.

ეჭვი არ არის, სწორედ ამ ზომებით აიხსნება ის უკმაყოფილება, რომელიც ამ ბოლო დროს უფრო და უფრო ემჩნევა სამღვდელოებას ჩვენი რესპუბლიკის წესების წინააღმდეგ. ამ უკმაყოფილებამ თავი იჩინა იმ სრულიად დაუშვებელ და აუტანელ საქციელში, რომელიც ამ დღეებში ჩაიდინეს სამღვდელოების უმაღლესმა წარმომადგენლებმა მთავრობის თავმჯდომარის კაბინეტში.

თვით სამღვდელოების ისეთი გამწარებული დამცველიც კი, როგორიც არის გაზ. „საქართველო", არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ სამღვდელოების წარმომადგენლებს ბაზარზე გამოჰქონდათ გელათის მონასტერში შენახული ნივთები. ვერაფერი გასამართლებელი საბუთია ის მოსაზრება, რომ ეს ნივთები იყვნენ „კერძო მლოცველთა მიერ მონასტრისათვის შეწირულნი". „საქართველოს" მიმდევართა შორის ბევრია იურისტიდა მათ უნდა ესმოდეთ, რომ სამღვდელოების წარმომადგენელთ ამისთანა შეწირული ნივთების გაყიდვის ნებაც არა აქვთ. ეს ნივთები ეკუთვნის ეკლესიას, როგორც დაწესებულებას, და არა ეკლესიის ამა თუ იმ წარმომადგენლებს, მიტროპოლიტ ნაზარის, გელათის ღვდლებს ან იმ მოვაჭრე პირებს, რომლებსაც ეს ნივთები ბაზარზე გამოჰქონდათ გასაყიდათ. საქმეს „საქართველოსებურად" რომ შევხედოთ, გამოდის, რომ ეკლესიის დღევანდელ მესვეურთა ქონებას უნდა შეადგენდეს ის აურებელი სიმდიდრე, რაც ეკლესიაში დაგროვილა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში! მიტროპოლიტ ნაზარის და სხვა მიტროპოლიტების ქონება ყოფილა ის თვალმარგალიტი, ოქრო-ვერცხლი და სხვა განძეულობა, რაც მორწმუნე ქართველთ შეუწირავთ მე-10 და შემდეგ საუკუნოებში! რაღა, რა უფლებით აცხადებს თავის პრეტენზიებს ამ დიდძალ ქონებაზე სამღვდელოება და მისი დამცველი პრესა? რომელი სამართლიანობით, რომელი ზნეობრივი არგუმენტებით შეიძლება გამართლდეს სამღვდელოების წარმომადგენლების მიერ გელათში მოთავსებული ძვირფასი ნივთების დატაცება?

თუნდაც თავი დავანებოთ სამართლიანობას და ზნეობრივ მოსაზრებებს, გადავიტანოთ საკითხი წმინდა იურიდიულ სფეროში ვინ არის უზენაესი, საბოლოო განმკარგულებელი იმ სიმდიდრისა, რომელიც ეკლესია-მონასტრებშია დაგროვილი და რომელსაც პირადი შემ- [illegible] წოის უზენაესი კონტროლი, რომ ეკლესიის ისტორიული და ეროვნული ქონება არ მოხმარდეს ამა თუ იმ თაობის წარმავალს ანგარებას? საქართველოში ეკლესია ითვლებოდა სახელმწიფო დაწესებულებათ. უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლება იყო იმავ დროს უმაღლესი განმგებელი ეკლესიისა. და დღეს, როდესაც სახელმწიფო დემოკრატიის ხელში გადავიდა, სანამ არ მომხდარა ფორმალური გამიჯვნა სახელმწიფოს და ეკლესიის უფლებათა შორის, დემოკრატიულ სახელმწიფოს არავითარი სურვილი არა აქვს თავის უფლებებზე ხელი აიღოს და ერთს რომელსამე წოდების ანგარებას შესწიროს ის სიმდიდრე, რაც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ყოფილა სახელმწიფოს უზენაეს განმგებლობაში.

სამღვდელოებას ხშირად უყვარს იმის თქმა, რომ იგი მოწოდებულია ხალხის სულიერ საჭიროების სასამსახუროდ და დასაკმაყოფილებლად. რამდენადაც სამღვდელოება ამ ფარგლებით განსაზღვრავს თავის მოღვაწეობას, დემოკრატიულ სახელმწიფოსაგან იგი არავითარს შევიწროებას და დევნას არ ნახავს. მაგრამ თუ მან მოინდომა მოღვაწეობის გადმოტანა ხორციელ სარბიელზე და თუ მან ანგარების მიზნით მოინდომა მითვისება იმისა, რაც მთელს ხალხს ეკუთვნის რაზედაც სამღვდელოების დღევანდელ შემადგენლობას არა აქვს არავითარი არც ზნეობრივი, არც ისტორიული, არც იურიდიული უფლება, მაშინ ნურას უკაცრავად, თუ დემოკრატიულმა სახელმწიფომ გაიხსენა თავისი როლი—ისტორიულად დატოვებულ ხალხის სიმდიდრის მეურვეობისა და უმაღლესი განმკარგულებელისა.

სათემო ბეღლები

გურიის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობამ, ხუთი დეკემბრის სხდომაზე, სხვა საკითხთა შორის, განიხილა გამგეობის მოხსენება სათემო ბეღლების დაარსების შესახებ.

სათემო ბეღლების დაარსების იდეია დაბადებულა ჯერ კიდევ შარშან. გურია და ზოგი სხვა მაზრა შარშან დამშეული იყო. ზოგიერთებს ქონდათ ზედ-მეტი ხორბალი და სიმინდი, მარა მათი მიღება და დამშეულთა შორის განაწილება მეტად ძნელი გამოდგა. ფასების საზღაპროთ ზრდამ ხორბლის და სიმინდის მეპატრონე ისე გაიტაცა, რომ ის ყოველივე საშვალებას ხმარობდა დაემალა ზედმეტი სურსათი და გაეყიდა ჩუმათ, უზომოთ გაზრდილ ფასებში. ამ ნიადაგზე, როგორც ვიცით, ათასგვარ უკმაყოფილებას ქონდა ადგილი. წელს მოსავალი კარგი იყო. შესაძლებელი გახდა ერთგვარი თადარიგის დაჭერა. ამას დაემატა კიდევ ფრონტის საჭიროება და აი გამგეობაც შეუდგა ამ საკითხის მოწესრიგებას. ის შეკითხვებია ყველა თემების გამგეობას სათემო ბეღლების დაარსების შესახებ. და მათგან დასტური მიუღია.

ხმოსანთა ყრილობამ მოისმინა გამგეობის მიერ წარმოდგენილი პროექტი და ერთხმად მიიღო. თანახმად პროექტისა ყველა თემში არსდება სათემო ბეღელი. მცხოვრებნი იყოფა 4 კატეგორიათ. პირველი კატეგორია იხდის მეტს, მეორე—ნაკლებს, მესამე—კიდევ უფრო ნაკლებს, მეოთხე, ულარიბესი ნაწილი, სრულიად თავისუფალია. რაოდენობას გადასახდელი სიმინდისას საზღვრავს თემის გამგეობა. სათემო ბეღლიდან სიმინდი მიეცემათ დამშეულებს სესხათ და მხოლოდ სესხათ. სიმინდი უნდა მოგროვდეს მარტის პირველამდე. ის თანაგრძნობა, რომელიც ამ იდეიამ თემებში ჰპოვა, თავდებია იმის, რომ ეს მეტად სასარგებლო საქმე ბრწყინვალეთ დამთავრდება და მაზრის დამშეული ნაწილი, ასე თუ ისე, დაზღვეული იქნება დამშევისაგან და სპეკულიანტების ბასრი კლანჭებისგან.

ბეღლებს ექნება არა მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა, არამედ სახელმწიფოებრივიც, რადგან შესაძლებელია რესპუბლიკა ჩავარდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ ის იძულებული გახდეს ითხოვოს ამ ბეღლებიდან სურსათი სხვა რომელიმე მაზრისათვის. ამ რიგათ გურიის სათემო ბეღლებს ეძლევა უაღრესათ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც.

იდეია საზოგადო ბეღლების დაარსებისა იმდენათ დროული და მიზანშეწონილია, რომ უნდა ვიფიქროთ, ის გამოძახილს იპოვის სხვა მაზრებშიაც და მისი დაარსებით ადგილობრივი ერობები უზრუნველ ყოფენ, როგორც დამშეულებს ადგილობრივათ, ისე საშვალებას [illegible] ფასის გაძვირების დროს, ისარგებლონ დაგროვილი სურსათით დროებით.

ჩვენ ვაქცევთ ყველა ერობების ყურადღებას ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს და იმედს გამოვსთქვამთ, რომ ისინი ენერგიულათ შეუდგებიან ასეთი ბეღლების დაარსებას. განი.

პრესა

პასუხს გაურბიან!

ქართულ „კომუნისტს" უიმედო საქმე უკისრია. გაზეთს სურს თავი დაიძვრინოს იმ პასუხისმგებლობიდან, რომელიც დაატყდა მას, როგორც შეთქმულის და უცხოეთის ფულებით მოყიდულ აგენტების დამცველს. აი საბრალდებულო პუნქტი, რომელზედაც ჩვენმა ბოლშევიკებმა პასუხი უნდა აგონ!

შეიძლება გაზეთში გამოქვეყნებული ფაქტები მათი აგენტობისა და მოღალატური მუშაობის შესახებ ზღაპარია?

თქვენ ეს და დაამტკიცონ! ამის მაგიერ ჯიჯგნიან ყოველ დღე ბ. ბარონის წერილებს და მკითხველებს არწმუნებენ, თითქო ბოლშევიკები ამ „მხილებისათვის" იდევნებოდენ ჩვენში.

აი რას სწერს „კომუნისტი":

„ამ მიზნით მათ დღეს ატეხილი აქვთ არა ერთხელ ნაცადი გამაყრუებული განგაში ჩვენი მოღალატეობისა, გამცემლობისა და სხვ. შესახებ. ამათ ემატება მასიური დაჭერა ჩვენი ამხანაგებისა, პასუხისმგებელი მუშაკებისა, რამაც საბოლოოთ უნდა დაიხსნას ისინი მათთვის უსიამოვნო მამხილებელთაგან."

არა, ბ კომუნისტებო, თქვენ გდევნიან იმისათვის, რომ ჩემოდნებით უცხოეთიდან ფულები შემოგაქვთ, აქ ნაძირალებს ყიდულობთ, შეთქმულობას აწყობთ, ტყვიის მფრქვეველებითა და თოფებით ვარჯიშობთ, რომ მოხერხებულ დროს ქართველ დემოკრატიას ზურგში მახვილი ჩასცეთ, როგორც ეს თქვენ გჩვევიათ. აი რისთვის გიჭერენ თქვენ! ნუ მოგაქვთ თავი უმანკო კრავებათ! მხილებისათვის რომ ვინმე დაეჭირათ, პირველ ყოვლისა ბ. ბარონს დაიჭერდენ.

სჩანს მხილებაში არ არის საქმე.

და თქვენი მხილება არც არავის აშინებს. სხვისი მხილება თქვენ არ შეგშვენით!

ვინ იცავს დაშნაკელებს?

რუსული „კომუნისტი" ჩვენ გვაწერს, თითქო დაშნაკელების დამცველათ გამოვდიოდეთ.

„სანამ დაშნაკელები ანტანტას ყურმოჭრილი მონები იყვნენ და ვაჭრობდენ სომეხთა ქონებითა და სიცოცხლით, სანამ ეს ასე იყო—ისინი, დაშნაკელები, მენშევიკებისაგან ღებულობდენ სრულ თანაგრძნობას და დახმარებას".

ნამდვილათ ვინ არ იცის, რომ მენშევიკები მუდამ გმობდენ დაშნაკელების

დღეს

საბჭოთა რუსეთის ფრონტებზე სიწყნარეა.

ბალშევიკების ცნობით ბერლინში საბჭოთა რუსეთის საწინააღმდეგო ძალების შეკავშირება ხდება.

ლიონის ცნობით პლებისციტი საბერძნეთში მეფე კონსტანტინეს სასარგებლო იქნება.

—

მუშათა მაგიდის განცხადება.

იმ საზოგადო და კერძო დამქირავებელთა დაწესებულებებს, რომელთა მოსამსახურეები და მუშები იღებენ მუშათა მაგიდიდან სურსათ-სანოვაგეს, შრომის სამინისტრო აცნობებს, რომ ისინი ვალდებული არიან დეკემბრის 15-მდე დეფიციტის დასაფარავად ყოველ მუშაზე და მოსამსახურეზე ახალი 5000 მანეთი შემოიტანონ. აღნიშნული თანხის დროზე შეუტანლობა გამოიწვევს მუშათა მაგიდიდან პურის და სხვა სურსათის მიცემის შეწყვეტას. ფულის მიღება სწარმოებს მუშათა მაგიდის სალაროში (კიროჩნი ქუჩა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების შენობა). ყოველ დღე დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

პოლიტიკას და უთითებდენ. მათ დაუშვებელ შეცდომებზე?

დაშნაკელების წყალობით გაჩაღდა სომხეთ-საქართველოს შორის ომი, დაშნაკელები მუდამ სხვის ლაქიებათ გამოდიოდენ, უცხო ძალას ეყრდნობოდენ და მეზობლებთან შეთანხმებას გაურბოდენ.

ეს ჩვენ აღგვინიშნავს წინეთ და აღვნიშნეთ ბალშევიკურ გადატრიალების შემდეგაც.

და რა უფლებით გვაწერს „კომუნისტი“ დაშნაკელების დამცველობას?

შეიძლება სომხეთის დაცვა მისი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობისათვის გამოქომაგება მიაჩნია მას დაშნაკელების დაცვათ?

თუ ეს ასეა, ჩვენ მართლაც გვგონია, რომ საბჭოთა მთავრობა სომხეთში არის მისი თავისუფლების დასამარებ. სხვა რომ არა იყოს რა, ადერბეიჯანის მაგალითი მჭერმეტყველურათ ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ სცემენ პატივს ბალშევიკები წვრილ ერთა თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. რაც უნდა სწეროს „კომუნისტმა“, ფაქტი ფაქტათ რჩება: სადაც საბჭოთა ძალები შევიდა, იქ თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოისპო.

რაც შეეხება დაშნაკელების დაცვას და მათთან მეგობრობას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბალშევიკები თავისი მისწრაფებითა და ბრძოლის მეთოდებით არც ისე შორს არიან ამ ხალხისაგან, რომ მათ ვერ შეუთანხმდენ. ამის ნიშნებს ჩვენ უკვე ვხედავთ. დაშნაკელები უკვე ქათინაურებით ამკობენ საბჭოთა სისტემას. და ბალშევიკების ზნე ჩვეულება რომ ვიცით, გასაკვირი არაფერი იქნება, თუ ხვალ ისინი მათთან ხელიხელ ჩაკიდებული გამოვლენ. თუ „სოციალისტური“ სინიდისი ნებას აძლევთ მათ ენვერ-ფაშასა და ქემალ-ფაშასთან ითანამშრომლონ და „ამხანაგი ენვერი“ მესამე ინტერნაციონალის გვერდში ამოუჯდინონ, დაშნაკელებმა რაღა დააშავეს?

დამნაშავეთ იცავენ!

„საქართველომ“ საქმე იშოვნა! ის შეუდგა იმ ბერების დაცვას, რომელნიც გელათის ქონებას ბაზარზედ ყიდდენ, ეს ბუნებრივია. „საქართველო“ თავისუფალი ვაჭრობის მოხრეა და თუ დაინახა სადმე თავისუფალი მყიდველ-გამყიდველი, იქვე გამოჩნდება ამ ხალხის მფარველ ანგელოზად. ოღონდ იყოს ვაჭრობა და რას დაგიდევს, თუ რით ივაჭრებენ. ამ „ისტორიის მცოდნე!“ ხალხს ნუ თუ არ ახსოვს, როგორ მოექცა ქრისტე მისი პარტიის ხალხს. და როგორ გამოყარა ისინი იერუსალიმის ეკლესიიდან?

„საქართველო“ ბრძანებს, რომ მონასტრებს მამული ჩამოართვეს და ისინი იძულებულნი გახდენ გაეყიდათ „ყოველივე მნიშვნელობას მოკლებული ნივთები, მაგალითად: ოქროს საათი, საყურე, ძეწკვი, გულის ქინძისთავი და სხვა“. ეს სხვა რა არის ბატონებო? ძველი ძვირფასი თვლები, არა? ვინ მისცა მათ ნება ამის გაყიდვისა. თქვენ ხომ არ მიეცით? სად ამოიკითხეთ რომ ბერებმა ძვირფასი ნივთებით უნდა ივაჭრონ? ეგებ თქვენ იცით ისტორია მონასტრების წარმოშობისა? ნუ თუ გგონიათ, რომ ეს დაწესებულება თავისუფალი ვაჭრობის საფუძველზედ არის აგებული? „ბერები ყიდდენ ქონებას, რადგანაც გაჭირვებული იყვნენო“. მერე ვინ დაუშალა მათ მუშაობა? ნუ თუ გგონიათ, რომ ეს მათთვის ქრისტეს მიერ აკრძალული არის?

ამაზედ შორს ისტორიის ამუჩად აგდება და უბადრუკი საქმის დაცვა—ვერ წავა!

მაგრამ სპეკულიანტების, გაკოტრებული მემამულეების და ბერების დამცველებისაგან ყველაფერს უნდა მოელოდე!

მანილოვობა დამღუპველია

ეს რამდენიმე დღეა გაზეთებში ქვეყდება ალმაშფოთებელი ამბები. კომუნისტებს მთელი ჩვენი რესპუბლიკა და მისი დაწესებულებები ჯაშუშების ქსელით დაუფარავთ. მათ ყველგან „თავისი კაცები“ ყავთ და დაწვრილებითი ცნობებს იღებენ.

როგორ მოაწყვეს ბალშევიკებმა ეს „სისკი“?

ვისი შემწეობით იგებენ ისინი ამ ცნობებს?

აი კითხვა, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ბალშევიკებს რესპუბლიკის დაწესებულებები პროფესიონალური ჯაშუშებით გაუვსიათ.

ეს შეცდომა იქნება. მართალია, პროფესიონალური ჯაშუშებიც ბევრი ყავთ აქ, მარა მარტო ამათი საშვალებით არ გროვდება ის ცნობები, რომელიც მათ შეთქმულებს აღმოაჩნდათ გაჩხრეკის დროს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დაწესებულებებში სხედან მოსამსახურეებათ ბალშევიკები და აი, ეს უკანასკნელნი „კეთილსინდისიერათ“ აწოდებენ ცნობებს უცხო ძალებს.

მართლაც, ჩვენს დაწესებულებებში ყველგან ბევრია ბალშევიკი მოსამსახურე. ჩვენ მათ ვიღებთ ადგილებზე, ყურადღებას არ ვაქცევთ მათ პარტიულ რწმენას, ისინი კი თავის თანამდებობას ჯაშუშოთ და გამცემლობისათვის იყენებენ.

ეს ასეც უნდა იყოს. ჩვენი ბალშევიკები შეთქმულები არიან. ისინი ლეგალურათ ცხოვრობენ თვალის ასახვევათ, ხოლო ნამდვილათ არალეგალურ ორგანიზაციებსა და შეთქმულთა ჯგუფებს აწყობენ. ეს დაავალეს მათ აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე. არსებობს დადგენილება, რომლის ძალით ბალშევიკებმა ლეგალურ ორგანიზაციებთან ერთად არალეგალური ორგანიზაციები უნდა მოაწყონ.

და აი, ჩვენი ბალშევიკებიც ამას ერთგულათ ასრულებენ და დიდი და პატარა ყველა აგენტია უცხოეთის. ბალშევიკი ჩვენს სამსახურში პირველ ყოვლისა იმიტომ შემოდის, რომ იქიდან ცნობები გაიტანოს და ვისაც ჯერ არს, მიაწოდოს თავისივე ქვეყნის წინააღმდეგ გამოსაყენებლათ.

ადგილობრივი ბალშევიკები ემზადებიან ჩვენს დასახჩობათ, ჩვენ კი მათ სამსახურში ვიღებთ.

ამაზე შორს მანილოვობა ველარ წავა!

მტერს არ უნდა ჰქონდეს ადგილი ჩვენს დაწესებულებებში. უკანასკნელნი უნდა გაიწმინდონ იმათგან, ვინც უცხოეთის აგენტებათ გამოდიან და რესპუბლიკას ძირს უთხრიან.

თუ გვინდა თავის დაცვა და ანარქიისაგან ქვეყნის ხსნა, ბალშევიკები უნდა განდევნონ სამსახურიდან.

ვიცი, ბევრი „ქრისტიანი“ ამხანაგი ამ ზომას დაუფრთხება. ჩვენში, სამწუხაროთ, ჯერ კიდევ ბევრია მანილოვები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ადგილობრივ ქართველ ბალშევიკებთან ერთად მუშაობა შეიძლება. გადაიკითხეთ გუშინწინდელ „ბორბა“-ში მოთავსებული მუშის წერილი და თქვენთვის ეს აშკარა იქნება.

მბეჭდავთა კავშირში დავმარცხებულვართ, იმიტომ რომ ჩვენი მიმდევრები გამოსულან ბალშევიკებთან თანამშრომლობის მქადაგებლათ. მათ მიუძინებიათ მასის სიფხიზლე და შეუქმნიათ ილიუზიები ბალშევიკთა სასარგებლოთ.

ეს ფაქტი დამახასიათებელია. ჩვენ არ გვაქვს შეგნებული თუ ვინ არიან ბალშევიკები და რისთვის მოდიან ისინი პროფესიონალურ კავშირებში, კოოპერატივებში, მთავრობის დაწესებულებებში. აი რას სწერს ლენინი თავის წერილში: **„უნდა იმუშაონ, თუ არა, რევოლიუციონერებმა რეაქციონერ პროფესიონალურ კავშირებში?“**.

და უპასუხებს: უნდა იმუშაონო. „მენშევიკებთან სასტიკი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ და საქმე ისე უნდა გავხადოთ, რომ სრულიად შევარცხვინოთ და გავდევნოთ ისინი პროფესიონალურ კავშირებიდან“.

აი, რისთვის შედიან ისინი ამ ორგანიზაციებში! და ამის შემდეგ ამხანაგები მათ ირჩევენ თვისი ხმებით საპასუხისმგებლო პოსტებზე.

ეს სრული დაბრმავებაა და ამას ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ ვიცით ბალშევიკების მორალი. „Ложь—святое дѣло“!—ეს ლენინის ძველი თქმულებაა, რომელსაც ერთგულათ ასრულებენ ყველა რანგის ბალშევიკები თავის ყოველდღიურ მუშაობის დროს.

ტყუილის მაღმერთებელნი და უცხოეთის ჯაშუშები არ უნდა იყვენ არც ჩვენს ორგანიზაციებში და არც სახელმწიფო დაწესებულებაში.

ისინი ეწევიან საბოტაჟს, ჯაშუშობას, ავრცელებენ მოწინავე და გავლენიანი პირების შესახებ ინსინუაციებს, შხამავენ გარშემო ატმოსფერას და ამღვრევენ წყალს, რომ შიგ თევზები ადვილათ იჭირონ.

დროა, რესპუბლიკის დაცვაზე სერიოზულათ ვიფიქროთ და ავანტიურისტ-მოღალატეებისგან შორს დავიჭიროთ თავი!

დროა გამოვფხიზლდეთ! ი.

შეთავსების საკითხის გარშემო

(წერილი რედ. მიმართ).

ამხ. რედაქტორო! ამას წინად ამხ. კ. კაუცკის კერძო წერილით მივმართე, რომელშიაც, სხვათა შორის, ვეხებოდი ეგრეთ წოდებულ შეთავსების საკითხს. როგორც ჩემს შეკითხვას, ისე კ. კაუცკის პასუხს ამ საგანზე გიახლებთ და გთხოვთ გამოაქვეყნოთ.

საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი **ანანია ხა—ძე.**

ჩემს წერილში ამხ. კაუცკისადმი შეკითხვა ასე იყო მოყვანილი:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთმა ჯგუფმა ამ რამდენიმე თვის წინად დაარსა კვირეული გაზეთი „ახალი სხივი“, რომელმაც სხვა წვრილმან საკითხებთან ერთად წამოაყენა ერთი სადავო საკითხი. გაზეთი იცავს ასეთ დებულებას—რომ პარტიამ სახელმწიფოში არ დაჰკარგოს თავისი სახე კონტროლის და აღმასრულებელი ძალების არევის დროს, უნდა მოახდინოს გამიჯვნა და მთავრობაში წარგზავნილი ამხანაგები პარტიიდან არ შეიძლება არჩეულ იქნან პარტიის საპასუხისმგებლო ორგანოებშიო. განსაკუთრებით „ახალი სხივი“ მოითხოვს, რომ მინისტრები არ იყვნენ არჩეულნი ცენტრალური კომიტეტის წევრებად.

მივიღე შემდეგი პასუხი:

კ. კაუცკის პასუხი.

თფ. 29 ნოემ. 1920 წ.

ძვირფასო ამხანაგო ანანია!

გაცივებული ვარ, სახლიდან ვერ გამოვდივარ და თქვენს შეკითხვაზე შემიძლია მხოლოდ წერილობით გაგცეთ პასუხი.

თქვენი წერილიდან არ გამომდინარეობს, რომ მინისტრობის და ცენტრალურ კომიტეტის წევრობის შეთავსებას პრაქტიკულად მავნე შედეგი ჰქონდეს. იმ პატარა ჯგუფს, რომელიც ამ შეთავსების წინააღმდეგ ილაშქრებს, სახეში აქვს, ალბათ ეგრეთწოდებული დემოკრატიული მოსაზრებები.

ვამბობ „ეგრედწოდებული“, რადგან მე არ მესმის, რატომ ცენტრალური კომიტეტის წევრი არ შეიძლება იყოს იმავე დროს მინისტრიც. მთავარი საქმე ხომ ის არის, რომ თვითოეული მუშაკი, მამა-კაცი გინდ ქალი, შესაფერ ადგილას იყოს.

დემოკრატიის იმნაირად გაგება, თითქოს მან თავი უნდა შეიზღუდოს მინისტრების, ან ხალხის სხვა პასუხისმგებელ მოსამსახურეების არჩევაში, მხოლოდ ზიანს მოუტანს საქმეს.

თქვენ მოგყავთ „ახალი სხივის“ აზრი, რომელიც სწერს, რომ ცენტრალური კომიტეტი კონტროლს უწევს მინისტრებს და ამიტომ უკანასკნელნი არ უნდა შედიოდენ ცეკაში. მაშასადამე, არც ერთი პარტიული ჟურნალისტი, არც ერთი მწერალი არ უნდა იყოს ც. კ—ის წევრი? ცეკა ხომ საპარლამენტო ფრაქციასაც უწევს კონტროლს. მაშასადამე, პარლამენტის არც ერთი წევრი არ უნდა შედიოდეს ცეკაში?

სადაც სოციალისტურ პარტიას ზედმეტი გამოჩენილი ძალები არ გააჩნია, ის ხშირად იქნება იძულებული ცენტრალურ კომიტეტის წევრები გახადოს მინისტრებათ და პირიქით. 1918 წლის ნოემბრის 19-ის რევოლიუციამ გერმანიაში სამი დამოუკიდებელი ს.-დემოკრატი გახადა ხალხის რწმუნებულად, ე. ი. მინისტრებად. ორი მათგანი, ჰააზე და დიტმანი, ფორშტანდის (ცეკას) წრიდან იყვნენ არჩეული. იგინი გახდენ მინისტრები და იმავე დროს დარჩენ ცეკას წევრები. ეს ყველასთვის თავისთავად ცხადი იყო და ამას არავითარი ზიანი არ მიუყენებია პარტიისათვის.

საეჭვო იქნებოდა მხოლოდ ისეთი მდგომარეობა, რომ ცეკას ყველა წევრები მინისტრები ყოფილიყვნენ; მარა ასეთ მდგომარეობას ხომ არსად არ ჰქონია ადგილი.

ის კი არა, ჩვენ შეგვიძლია უფრო შორს წავიდეთ და ვთქვათ, არამც თუ საზიანო, არამედ სასარგებლოც შეიძლება იყოს, როცა ცეკაში რამოდენიმე მინისტრი ზის. ვინაიდან ცენტრალური კომიტეტის მოვალეობაა—არა მარტო კონტროლი გაუწიოს სოციალისტ. მთავრობას, არამედ გავლენაც მოახდინოს მასზე; მას მუდამ უნდა ჰქონდეს საკმაო ინფორმაცია მთავრობის შესახებ. ამიტომაც ცეკა და სამინისტრო მუდამ უნდა თანამშრომლობდენ ერთმანეთთან. პარტია და მთავრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევენ წარმატებას, თუ იგინი ერთმანეთთან ასე მჭიდროდ და ჰარმონიულად თანამშრომლობენ. ეს თანამშრომლობა კი ყველაზე უფრო ადვილად და ბუნებრივად მიიღწევა იქ, საცა რამოდენიმე წევრი ცენტრალურ კომიტეტისა მთავრობაში ზის, ან რამოდენიმე მინისტრი ცეკაში.

ჩემთვის ადვილად გასაგებია ის დემოკრატიული მოთხოვნილება, რომელიც ცდილობს აიცილოს მთავრობის გაბატონება პარტიაზე. მაგრამ ამის მიღწევა არ შეიძლება პარტიულ წესდებაში შემზღუდავ მუხლების შეტანით.

იქ, საცა პარტიის წევრთა მასა პარტიულ მუშაობაში მონაწილეობას არ იღებს, უყურადღებობას და უვიცობას იჩენს, იქ არსებობს საფრთხე, რომ პარტიაში გაბატონდება რამოდენიმე კაცი, რომლებიც მას სათავეში უდგანან. ამ შემთხვევაში ვერავითარი პარტიული წესდება მიზანს ვერ მიაღწევს. იქ კი, საცა პარტიული წევრები ენერგიულად მუშაობენ, ცოდნას იძენენ და დამოუკიდებლად აზროვნებას ეჩვევიან, იქ ზედმეტია პარტიულ წესდებაში შემზღუდავ განმარტებების შეტანა, იქ მასა თვით აწარმოებს საჭირო კონტროლს და ახდენს შესაფერ გავლენას იმათზე, ვისაც ის თავის ხელმძღვანელებათ ირჩევს. ნამდვილი და მომქმედი დემოკრატია ემყარება არა წესდების მეტად თუ ნაკლებათ მოხდენილს მუხლებს, არამედ მასის ენერგიას და გონებრივ განვითარებას.

იმედი მაქვს, რომ ეს სტრიქონები საკმარისი იქნება საქმის გასარკვევად.

გულითად სალამს გიძღვნი თქვენი

კ. კაუცკი.

დამფუძნებელი კრება

8 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

კონსტიტუციის განხილვა.

ს. დადიანი (ს. ფ.) აგრძელებს თავის სიტყვას წინა სხდომაზე დაწყებულს და ამბობს: ჩვენი ფრაქციისთვის მიუღებელია პრეზიდენტი და ის უფლებები, რომელსაც მას ანიჭებენ. პრეზიდენტი თავის უფლებებით იგივე მეფეა. მიუღებელია აგრეთვე ხელის უფლების აბსოლიუტურად დანაწილება. მიუღებელია, როგორც თეორიულად, ისე პრინციპიალურადაც. და მართლაც, ყოვლად შეუძლებელია აღმასრულებელი ძალის, საკანონმდებლო ორგანოს და სასამართლოს ისე გათიშვა ერთმანეთისაგან, რომ მათ არაფერი ქონდეთ საერთო.

რაც შეეხება აღმასრულებელი ხელისუფლების აწყობას, ჩვენ კონსტიტუციის პროექტში წამოყენებულ დებულებებს ვიზიარებთ, ხოლო ზოგიერთი შესწორებებით. პროექტში არის პასუხისმგებლობა, როგორც სოლიდარული, ისე პიროვნული. ჩვენ არ ვართ მომხრე მინისტრების პიროვნული პასუხისმგებლობისა, ჩვენ მხარს უჭერთ მინისტრების კოლეგიალურ პასუხისმგებლობას და ამის შესახებ თავის დროზე შესწორებაც იქნება ჩვენ მიერ წარმოდგენილი.

გარდა ამისა კონსტიტუციის პროექტში გაფიცვების შესახებ ნათქვამია, რომ ის ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს ინტერესებს არ ეწინააღმდეგებაო. ჩვენ ამ მუხლის ამ სახით მიღების წინააღმდეგი ვართ. თუ ეს ასე დარჩა, მაშინ შესაძლებელია ყოველგვარი გაფიცვა სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართულად დაისახოს, და გაფიცვა საერთოდ შეუძლებელი გახდეს. ჩვენ შესწორებას შემოვიტანთ აგრეთვე სახელმწიფოს მუშა-მოსამსახურეთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.

შემდეგ ორატორი ეხება ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს და ამბობს, რომ ჩვენი კონსტიტუციის პროექტის ძალით ძალიან მცირე უფლებები ეძლევა ეროვნულ უმცირესობათ. ჩვენ შესწორებას შემოვიტანთ ამ თავის შესახებაც. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ ნ. ჟორდანიამ კონსტიტუცია ტანისამოსს შეადარაო და თუ ეს ასეა, განაგრძობს ის, თუ კონსტიტუცია მართლა ტანისამოსია, მაშინ, ცხადია, შეუძლებელია ადამიანმა შეიკეროს ისეთი ტანისამოსი, რომელიც მუდმივათ გამოადგეს მას. არ შეიძლება აგრეთვე კონსტიტუცია იყოს მუდმივი, ჩვენი პროექტის ძალით კი კონსტიტუციის შეცვლა ძალიან გაძნელებულია და ამ მუხლს შეცვლა სჭირია. დასასრულ ორატორი იმედს გამოსთქვამს, რომ ჩვენი კონსტიტუცია ხელს შეუწყობს მომავალი სოციალისტური წყობილების დამყარებასო.

ლ. შენგელაია (სოც.-რევ.) აღნიშნავს კონსტიტუციის მიღების დიდ ისტორიულ მნიშვნელობას და ამბობს: დღეს ჩვენს წინაშე არის „ტაბულა რაზა“ (სუფთა ფიცარი), რომელზედაც უნდა დაიწეროს არა მარტო ის, რაც ფაქტიურად არის, როგორც ეს ჟორდანიამ სთქვა, არამედ ისიც, რაც უნდა იყოს მშრომელი კლასების სასარგებლოდ, ვინაიდან ფაქტიურად ბევრი მინუსებია. წარსულ სხდომაზე ჟორდანიამ სთქვა, რომ კონსტიტუცია იგივეა სახელმწიფოსათვის, რაც ტანისამოსი ადამიანისათვისო. ეს მართალია და ეს ტანისამოსი უნდა შევუკეროთ ისეთ სხეულს, რომელიც მომწიფდა, მაგრამ იმავე დროს იზრდება. ამიტომ ჩვენ მას ისეთი ტანისამოსი უნდა შევუკეროთ, რომელიც გამოადგება ხვალ, ზეგ და შემდეგ და ეს ტანისამოსი უნდა შევუკეროთ მას მე-20 საუკუნის რევოლიუციონურ სოციალისტურ ფასონზე და არა მეთვრამეტე საუკუნის ბურჟუაზიულ რეაქციონურ ფასონზე. აქ უნდა მოხდეს რეალიზაცია რევოლიუციის მონაპოვართა. დღეს უნდა ვსთქვათ ახალი მონობისაკენ მივდივართ, თუ თავისუფლებისაკენ. შემდეგ ორატორი ამბობს, რომ ამ კონსტიტუციას ორი დიდი მოვლენა უძღოდა წინ: რუსეთის დიდი რევოლიუცია და 26 მაისი. და რადგანაც ჩვენი დამოუკიდებლობა აღმოცენდა რუსეთის რევოლიუციის ნიადაგზე, ამიტომ საჭიროა ჩვენს კონსტიტუციაში აღბეჭდილი იყოს რუსეთის რევოლიუციის შინაარსი. შემდეგ ორატორი ანალიზს უკეთებს რუსეთის რევოლიუციას და ასკვნის, რომ ეს რევოლიუცია იყო არა ბურჟუაზიული, როგორც ეს სოც.-დემოკრატებს ჰქონდათ წარმოდგენილი, არამედ იყო სულ ახალი ტიპის რევოლიუცია—სოციალისტური რევოლიუცია. აი ამ რევოლიუციის შინაარსი უნდა ყოფილიყო აღბეჭდილი ჩვენს კონსტიტუციაში. მაგრამ აქ წარმოდგენილი კონსტიტუცია არის ბურჟუაზიული კონსტიტუცია სოციალისტების მიერ დაწერილი. ეკონომიური მხარე გერმანიის კონსტიტუციისა უფრო რადიკალურია, ვინემ ჩვენი. რათ მოხდა ეს? აქ ორატორს მოყავს მთელი რიგი ციტატებისა ნ. ჟორდანიას და სხვების ნაწერებიდან იმის დასამტკიცებლად, რომ სოც.-დემოკრატიული აზროვნება ცვლილებებს განიცდა და 1905 წ. დღემდე, რომ მათ არა ერთხელ და ორხელ შეიცვალეს თავის შეხედულება რევოლიუციის ხასიათზე, ეროვნულ საკითხზე და სხვ. მათ ვერ გამოურკვევიათ ბურჟუაზიის ბატონობას ვამყარებთ, თუ პროლეტარიატისა და, ცხადია, სოც.-დემოკრატიას არ შეეძლო უკეთესი კონსტიტუციის დაწერაო. წარმოდგენილი პროექტი კონსტიტუციისა არის მარტო პოლიტიკური უფლებრივი. რაც შეეხება სოციალ-ეკონომიურ მხარეს, როგორც ვსთქვი ცოტა ზემოთ, ძალიან მკრთალათ არის გატარებული. მართალია არის დემოკრატიული მხარე, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. დემოკრატიზაცია ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებში უფრო შორს წავიდა, ვინემ ჩვენში. თუ სოციალისტური ხანაა, მაშინ სოციალიზატორული მუხლები უნდა იყოს სოციალისტების მიერ შედგენილ კონსტიტუციაში. უნდა იყოს შრომის საყოველთაო ბეგარა, ბინის საკითხი, უნდა იყოს ნაციონალიზაცია და სოციალიზაცია კონსტიტუციაში გატარებული და სხვ.

აქ მომხსენებელი ზ. საყვარელიძე ამბობდა, რომ მთავარი თვისება ჩვენი კონსტიტუციისა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენში ხალხია თვითმპყრობელიო. ეს არ არის მართალი. და რომ ეს მართალი არ არის იქიდანაც აშკარაა, რომ ჩვენში უარყოფილია შვეიცარიის პირდაპირი დემოკრატია. ჩვენში არც პარლამენტია თვითმპყრობელი, ვინაიდან ის რეფერენდუმით არის შეზღუდული. ამ კონსტიტუციით ნამდვილათ თვითმპყრობელია მთავრობა. მართალია, პრეზიდენტი უარყოფილია, მაგრამ მთელი ძალა-უფლება ფაქტიურად და იურიდიულად მთავრობის ხელშია. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მთავრობის თავმჯდომარეს უფლება ექნება ჯარები გამოიყვანოს, რესპუბლიკის წარმომადგენლობა იკისროს და განსაკუთრებული უფლებებით ისარგებლოს, ყველა ამის შემდეგ რაღა დარჩა?—ცხადია აქ დაკანონებულია მთავრობის თვითმპყრობელობა. ჩვენ კი წინააღმდეგი ვართ პრეზიდენტისა და აგრეთვე მთავრობისათვის ამდენი უფლებების მიცემისა. ორატორმა გაილაშქრა აგრეთვე იმ მუხლის წინააღმდეგ, რომელშიაც ნათქვამია, რომ დემოკრატიული რესპუბლიკა ეს მუდმივი ფორმა სახელმწიფოს წყობილებისა (ხმა—მაშ თქვენ წინააღმდეგი ხართ უმრავლესობის ბატონობის?) დიახ, მე წინააღმდეგი ვარ ამისი და არც ერთი სოციალისტი მუდამ და ყოველთვის არ მიიღებს უმრავლესობის ბატონობას.

ჩვენ არ გვაკმაყოფილებს აგრეთვე პროექტის ის თავი, სადაც ლაპარაკია ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ. ეროვნულ უმცირესობათ აუცილებლათ უნდა მიეცეს საჯარო უფლებები.

დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ ჩვენი ფრაქცია არ იზიარებს მთლიანად წარმოდგენილ პროექტს კონსტიტუციისას და ამას ის უპირდაპირებს თავის კონსტიტუციას, რომლის შესახებ ჩემი ამხანაგები მოგახსენებენო. ჩვენი კონსტიტუციის ძირითადი პრინციპია შრომა. ჩვენ ფართოდ ვაყენებთ სოციალიზაციის და ნაციონალიზაციის საკითხს. სახელმწიფო ფინანსების შესახებ ჩვენ ვფიქრობთ, რომ გადასახადებით არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია თავის რჩენა და ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფომ თავი უნდა ირჩინოს საზოგადოებრივი მეურნეობით.

შემდეგ ილაპარაკა ვ. თევზაიამ, რომლის სიტყვას შემდეგ დავბეჭდავთ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

9 დეკემბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბალშევიკური)

ჩინეთის საზღვარზე.

მოსკოვი. 8 დეკ. 4000 თეთრგვარდიელებმა ჩინეთის საზღვარი გადალახეს. ვინაიდან თეთრ გვარდიელებმა განიარაღებაზე უარი განაცხადეს, ამიტომ მათსა და ჩინეთის ჯარის კაცების შორის შეტაკება მოხდა.

პოლონეთში.

ინგლისისა და ამერიკის კაპიტალისტებს სურთ აიღონ იჯარით პოლონეთის რკინის გზები.

პოლონეთი და გერმანია.

ზემო სილეზიაში პოლონელ ბანდებსა და გერმანელ მუშებს შორის შეტაკება ხდება. შეიარაღებული პოლონელები გერმანიის მუშებს დაეცენ. ბევრი დაიჭრა.

ვრანგელის წერილი.

მოსკოვი. 8 დეკემ. ვრანგელი სტრუვეს მიმართ წერილში აცხადებს: რომ იგი განწირულად სთვლიდა თავის ჯარს იმ დღიდან, რაც საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის ზავი ჩამოვარდა. მან იმ დღიდანვე დაიწყო მზადება ევაკუაციისათვის, ამას იგი აკეთებდა საიდუმლოდ. პერეკოპის დაცვის დროს ვრანგელის სიტყვით წითელი ჯარი მედგრად და მტკიცეთ იბრძოდა. სიცივისა და აგრეთვე ტანისამოსის უქონლობის გამო ვრანგელმა ვერ შესძლო გამკლავებოდა წითელ ჯარს. დაჰკარგა რა 25000 კაცი დაიხია უკან.

ენვერფაშა.

ენვერფაშას, რომელიც გერმანიასთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა, ეხლა ხაშ შ კაცათ სთვლიან. მას გერმანიიდან ასახლებენ.

ბალშევიზმის წინააღმდეგ.

მოსკოვი. 8 დეკ. „პრავდას“ მოწინავე სწერს: თეთრ გვარდიელები იყენებენ ბრძოლის ახალ ფორმებს ბალშევიზმთან. ბერლინში იქმნება ცენტრი აქტივისტებსა, კონტრ-რევოლიუციონერებისა და ბომბისტებისა. ბერლინის გაზეთი „ვრემია“ მოუწოდებს ყველას, ვის გულშიაც კი ღვივის ზიზღი ბალშევიკებისადმი, რომლებმაც გარეკეს დამფუძნებელი კრება და თავის თავისუფლებას დასცინიან, შემოიკრიბონ მის გარშემო.

ფრონტებზე სიწყნარეა.

ფრანგული ცნობები

გერმანიის განიარაღება.

თანახმად ინგლისის სტატისტიკურ ოფიციალურ ცნობებისა, გერმანიის განიარაღების შესახებ, გერმანიას მოკავშირეთათვის შემდეგი სამხედრო მასალა გადაუცია. 30,500 ზარბაზანი, რომელთაგანაც 27,650 უკვე გააფუჭეს. 6,100 მოწურის მორტირი, რომელთაგანაც გააფუჭეს 5,800; 63,100 ტყვიისმფრქვეველი, რომელთაგანაც გააფუჭეს 48.400; 2.524,400 ვინტოვკა, რომელთაგანაც გააფუჭეს 2,206.300; 405 მილიონი პატრონი, რომელთაგანაც 170 მილიონი გაანადგურეს, 32 მილიონი ყუმბარა, რომელთაგანაც გაანადგურეს 18 მილიონი. უკანასკნელ ხუთი თვის განმავლობაში მოკავშირეებმა 11 ათასი ზარბაზანი გაანადგურეს. გაანადგურეს აგრეთვე ის ზარბაზანიც, რომლებსაც ქარხნებში ამზადებდენ.

გაფიცვები.

თანახმად ბერლინიდან მოსული ცნობისა მოსამსახურეთა შორის ერთგვარ მღელვარებას აქვს ადგილი. მღელვარება გამოწვეულია მით, რომ მთავრობას არ სურს დათანხმდეს ჯამაგირების საგრძნობ მომატებაზე, რასაც მოსამსახურეები თხოულობენ. განსაკუთრებული უკმაყოფილება არის გამეფებული რკინის გზელთა და წვრილ მოხელეების შორის.

რომი. ელექტრონის სადგურებზე მოსამსახურეების გაფიცვა გრძელდება, მაგრამ ქარხნები განაგრძობენ მუშაობას, საზღვაო საინჟინრო ძალების მიერ. აღნიშნულ დახმარების საშუალებით ტრამვაის განათება და მოძრაობა უზრუნველყოფილია.

ლიონის ცნობები

საბერძნეთში.

პლებისციტის შედეგები მეფე კონსტანტინეს სასარგებლოთ გამოდგა, მაგრამ როგორც ირწმუნებიან, საბერძნეთის მთავრობას მოკავშირეთა დამოკიდებულების გამო დიდი დაბრკოლება ელობება წინ. მიღებულია ზომები, რომ მეფე კონსტანტინეს ათქმევინონ უარი ტახტზე თავის უფროსი შვილის სასარგებლოთ.

საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის პრესის ბიუროს ბიულეტენიდან

9 დეკემბერი.

საბჭოთა დაწესებულებების გაწმენდა.

ევპატორია. 6 დეკ. (რადიო ნიკოლაევიდან). შემდგარია სპეციალური კომისია იმ მიზნით, რომ გაიწმინდოს საბჭოთა დაწესებულებები შიგ შესულ ბურჟუაზიულ ელემენტებისაგან.

შეშის დამზადება.

ბალაკლავა. 6 დეკ. (რადიო ნიკოლაევიდან). რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილებით ყველა შრომის შემძლე წმ. გიორგის მონასტრის ბერები დააყენეს შეშის დასამზადებელ სამუშაოზე.

ბრძოლა წყალდიდობასთან ბაქოში.

ბაქო, 8 დეკ. მტკვრის, არაქსის და მთის ნაკადების გადიდების გამო გლეხის მიწის დათესვის „ნადელი“ მცირდება. ამ შემოდგომაზე წყალმა დაჰფარა 35.000 დესეტინა მიწა და ნუხის, გეოგჩაის და აგდაშის სოფელს განადგურებას ემუქრება, ადერბეიჯანის რევოლიუციონურმა კომიტეტმა წყალდიდობასთან საბრძოლველათ შეადგინა კომისია, რომელშიც შევიდნენ საუკეთესო ჰიდროტეხნიკები.

პური სომხეთისათვის.

ბაქო, 8 დეკემ. მეთერთმეტე წითელმა არმიამ დაამზადა პურით დატვირთული 40 ვაგონი სამარშრუტო მატარებელი—საბჭოთა სომხეთისათვის. მატარებელი გაიგზავნება იმის შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობის მხრივ

მიღებული იქნება თანხმობა ამ მატარებლის მას რკინის გზებზე გაშვების შესახებ.

ხალხი გაიმარჯვებს!

ტრაპიზონი. 1 დეკ. გაზ. „იკბალი" (28 ნოემბრის ნომერი) სწერს: დღევანდელი მღელვარება 1914 წლის ამბების შედეგია. ხალხები თითქმის იღვიძებენ გრძელ მაჯლაჯუნასებურ ძილიდან... მონარხებს თავებიდან სცვივათ გვირგვინები. კაცობრიობა ნელის ნაბიჯით მიიწევს გამოურკვეველ მომავლისაკენ და ყურს უგდებს ხმას, რომელიც მოისმის საერთაშორისო ბრძოლიდან: „ძირს უსამართლობა!" და ყოველგვარი მსხვერპლი და დაღვრილი სისხლი ხელს უწყობს ჭეშმარიტების გამორკვევას.

როგორც ოქტომბრის რევოლიუციის საშუალებით რუსეთმა დალეწა თვითმპყრობელ ცარიზმის ბუნდები და მოაწყო საბჭოთა რესპუბლიკა, რომლის მიზანსაც ხალხის მშვიდობიანობისა და კეთილდღეობის დაცვა შეადგენს,—ისე იტალიის შვილებიც დღეს ანგრევენ კაპიტალიზმის ზღუდეებს... ბერძნებმა გააგდეს ვენიზელოსი და რუმინიაში მიწას ინაწილებენ გლეხები. ყველა ამ ამბებმა გამოაღვიძა აღმოსავლეთი და გამოიყვანა ის დასავლეთის წინააღმდეგ. დეე, გაწითლდენ ისინი, ვინც ჰფიქრობდენ, რომ აღმოსავლეთი მხოლოდ სათამაშო საგანია განათლებულ დასავლეთის ხელში. გუშინდელი და დღევანდელი ამბები აღმოსავლეთს უმზადებენ ბედნიერ ხანას. ეჭვი არ არის რომ სამართლიანობის მაძიებელ ხალხის ბრძოლა კაპიტალიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ გამარჯვებით დასრულდება.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

◆ **დღეს,** საღამოს 7 საათზე, მუშათა სასახლეში (ოთახი 53) დანიშნულია მეორე მოხსენება ამხ. ს. მ. ზარეცკაიასი რუსეთის პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ. მოხსენებაზე მოწვეულნი არიან პროფ. კავშირთა გამგეობები და ყველა აქტიური მომუშავენი.

◆ **თფილისის სამაზრო ერობა.** 12 დეკემბერს, გამგეობის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № 6) დანიშნულია მაზრის ხმოსანთა ყრილობა, დღიური წესრიგი: 1) გამგეობის ახალი თავმჯდომარის არჩევნები და 2) მიმდინარე საკითხები.

◆ **ჯანმრთელობის დეპარტამენტის** ცნობით ნოემბრის 23 ბათომში შავი ჭირით ავად იყო 5 კაცი. 23—26 ნოემბრამდე ავად არავინ გამხდარა. ამ ხნის განმავლობაში თფილისში არ ყოფილა ხოლერით ავად გახდომის შემთხვევა.

◆ **სურსათ-სანოვაგე მუშათათვის.** აღმასრულებელმა კომიტეტმა და სეკრეტარიატმა შეერთებულ სხდომაზე მოისმინა რა მთავრობის დადგენილება პურის რაციონის გადიდებისა და მუშა-მოსამსახურეთათვის შაქრის, შეშის, ნავთისა და კომბოსტოს მიწოდების შესახებ, დაადგინა: 1) სთხოვოს მთავრობას დაჩქაროს ზემოაღნიშნულ დადგენილების ცხოვრებაში გატარება, 2) ეს კანონი გავრცელდეს მთელს რესპუბლიკაში და ამ მიზნით ადგილობრივ მოეწყოს სათანადო აპარატები, 3) იმ ადგილებში, სადაც შეუძლებელი იქნება ამ ღონისძიების გატარება, მუშებს და მოსამსახურეებს მიეცეს ფულით დახმარება.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** დღეს, პარასკევს ლექციებს წაიკითხავენ: საბურთალოზე—ბაქრაძე „პირველყოფილი კულტურა; ავლაბარში—გელოვანი საქართველოს ისტორიას; ორთაჭალაში—ნაკაშიძე—ქართული მწერლობა.

◆ **საავადმყოფო კასათა კონფერენცია** ოთხი დღის მუშაობის შემდეგ დეკემბრის 8 დაიხურა. მოსმენილი იქნა მოხსენებები და დღიურ წესრიგში დასმულ საკითხების შესახებ სათანადო რეზოლიუციები გამოიტანეს. გარდა ამისა მოსმენილ იქნა ცნობა შრომის მინისტრის ამხანაგის ა. ბახტაძისა იმის შესახებ, თუ რას აპირებს სამინისტრო გაატაროს სოციალურ დაზღვევის სფეროში. კონფერენციამ გამოყო საინფორმაციო ბიურო, რომელშიაც შედიან: ამხ. ბერიშვილი, თამაზაშვილი, თელია, გაბუნია, მარსაკოვი და სამი კანდიდატი.

◆ **მუშათა მაგიდა** აქვეყნებს სიას იმ პირთა, რომლებმაც ნავთი ორ ადგილას მიიღეს—მუშათა მაგიდიდან და ქალაქის სასურსათო მაღაზიიდან: 1) ფარსიკ აბლიოიანცი, სავაჭრო ბანკის მოსამსახურე, 2) ს. ბაგდანოვი და ადამოვა-ელექტრონულ სადგურის მოსამსახურენი და 3) ი. მანუკიანცი, 4) გ. ამატუნი, და 5) ფ. ლომთაძე.

◆ **ფრონტისთვის.** ქალაქის თვითმართველობამ დამხმარე კომიტეტს გადასცა 5 ფუთი ძეხვი და 5 ფუთი საპონი.

◆ **ნიხრი.** ქალაქის თვითმართველობამ სასურსათო კომისიასთან ერთად 7 დეკემბერს მომხდარ სხდომაზე დაადგინა ახალი ნიხრის შემოღება სურსათ-სანოვაგეზე: ხახვი 25 მ. მაგიარ 35 მ. გირ., კარტოფილი 25—30 მ, ნახშირი 600—800 მ ფ., კომბოსტო 10—12 მ. გირ. დანარჩენ სანოვაგეზე ნიხრი შეუცვლელად დარჩება.

◆ **ელექტრონზე მომუშავეთა კავშირში.** შაბათს, 11 დეკემბერს დილის 10 საათზე „კინო პალასის" თეატრის შენობაში (მიხეილის პრ. № 125) შესდგება ელექტრონის მომუშავეების პროფესიონალური კავშირის საზოგადო კრების გაგრძელება. წესრიგშია კამათი გ. ახატიანის მოხსენების გარშემო შრომის ხელშეკრულობის შესახებ და სხვა საპირბოროტო საკითხები.

◆ **სახელმწიფო ქაღალდების დამზადებელი ექსპედიცია** ბეჭდავს 1921 წ. კედლის კალენდარს (ერთ ფურცელზედ) და ასოთა შრიფტების ალბომს სახელმძღვანელოთ ტეხნიკის მხაზველთათვის.

◆ **ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოების კრება** შესდგება 10 დეკემბერს საღამოს 8 ს. თფილისის მიხეილის საავადმყოფოში სამეცნიერო ნაწილი: 1) ექ. ნ. გეგეჭკორი—შემთხვევა ნაღვლიანი ტიფოიდისა, 2) ექ. ი. ხატიაძე—ქართული მაწვნის მიკროფლორა, საადმინისტრაციო ნაწილი: 1) წაკითხვა და დამტკიცება წინა კრების ოქმისა, 2) ახალი წევრების არჩევა.

◆ **თავდაცვის ფონდი.** შაბათს დეკემბრის 4-ს დამფ. კრების ყვითელ დარბაზში შესდგა სხდომა რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის მთავარ გამგეობისა. სხდომის გახსნისას თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელმა გააკეთა მოხსენება პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ. შემდეგ განიხილეს საკითხი ფულის და საქონლის მიღების და შენახვის სისტემის შესახებ. ამასთანავე დაადგინეს ეთხოვოს სახელმწიფო ბანკს მიიღოს შემოწირულებანი ფულით და შექმნას საჭირო აპარატი თავის მოსამსახურეებისაგან ამ შემოწირულების მისაღებათ. დასასრულ მოისმინეს სექციათა მოხსენებები, რომელთაგანაც გამოირკვა, რომ სექციებმა უკვე მიაღწიეს დიდ პრაქტიკულ შედეგებს: როგორც გამოირკვა, უკვე შემოდის განცხადებანი შემოწირულების და სხვ. შესახებ. სექციებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ მუშაობა და მიიღონ ზომები სათანადო პროპაგანდის, ფულის შეკრების და სხვ. მოწყობის შესახებ. გამგეობის შემდეგი სხდომა დანიშნულია კვირას დეკემბრის 12, დილის 12 საათზე.

◆ **ფრონტის სასარგებლოთ** რედაქციამ მიიღო ანტონ ერმ. თაყაიშვილისგან 1,000 მანეთი.

◆ **მეოთხე რაიონული კოლექტივი** ულრმეს მადლობას უცხადებს ამხ. მარიამ ანდრონიკაშვილის ასულს, პარტიული ფონდის გასაძლიერებლად ათასი (1000) მანეთის შემოწირვისათვის.

◆ **ე. ჩოლოყაშვილმა** უძღვნა ქართულ დრამის თეატრს სცენისთვის გამოსადეგი ძველებური ნივთები, რისთვისაც სახელმწიფო თეატრის დირექცია მადლობას უცხადებს შემომწირველს.

◆ **დაკარგული კაცი.** 17 ნოემბერს 1920 წ. ს. ჯ ხაიშიდან ხონში დაბრუნდა ხარების გაყიდვის შემდეგ კაპიტონ ანტონის ძე პაპავა, რომელსაც თან ჰქონდა 125 ათასი მანეთი. ყმაწვილი 19 წლისაა, შავ თმიანი, შავგრემანი სახის. თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ გთხოვთ მაცნობოთ ნაოლაღევის უბნის მილიციაში. **ანტონ პაპავა.**

◆ **ეშმაკის მათრახის რედაქცია** სთხოვს ქართველ მხატვრებს მობრძანდნენ დღეს, დეკემბრის 10-ს, საღამოს 6 საათზე, რედაქციაში (რუსთაველის ქ. კუთხე ჭავჭავაძის ქუჩისა, სადაც საქარ. დეპ. სააგენტო იმყოფება).

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის** სტუდ. სალიტერატურო წრეში დღეს, საღამოს 6 ს. ამხ. ვ. გორგაძე წაიკითხავს რეფერატს შემდეგ თემაზე: „პოეტი დავით გურამიშვილი". დასწრება შეუძლიათ არა წევრებსაც.

კრებები.

პარასკევს, 10 დეკემბერს, საღამოს 6 ს. რკინის გზის სამმართველოს ს.-დ. მცირე კოლექტივი იწვევს სამმართველოში მცირე კოლექტივის წევრთა საერთო კრებას.

— დღეს, საღამოს 7 საათზე, შესდგება ჩუღურეთის მცირე კოლექტივის პარტიის წევრთა საერთო კრება. დასწრება წევრების აუცილებელია.

— პარასკევს, 10 დეკემბერს, დანიშნულია ვერის გამრთობ ს—ბის გამგეობის წევრთა სასწრაფო სხდომა. რადგანაც ეს სხდომა მესამეჯერ არის მოწვეული, ამისათვის ვინც ამ სხდომას არ დაესწრება, ის გამოირიცხება გამგეობის წევრობიდან.

სასწავლებლის მდგომარეობა

დამფუძნებელ კრების სახალხო განათლების კომისიის წინადადებით განათლების მინისტრის ამხანაგმა ნ. ცინცაძემ გააკეთა კომისიაში მოხსენება რესპუბლიკის სასწავლებლების მდგომარეობის შესახებ. კომისიამ ამ საკითხზე მსჯელობას მოანდომა სამი სხდომა და გამოიტანა შემდეგი საერთო ხასიათის დადგენილებანი: მოისმინა რა მოხსენება განათლების მინისტრის ამხანაგისა სახალხო განათლების უწყების მოღვაწეობის შესახებ, კომისია აღიარებს: 1) განაპირა კუთხეებს (სვანეთს) სამუსლიმანო საქართველოს და სხვ. ჩამორჩენილ ადგილებს, სადაც ობიექტიური პირობების გამო სახალხო განათლების საქმე დაბრკოლებულია, უნდა მიექცეს უპირველესი ყურადღება დაწყებითი სკოლების გახსნის მხრით; საჭიროა ამ მიზნით მასწავლებელთა სათანადო კონტიგენტის შეკრება და მათი უზრუნველყოფა გადიდებული ჯამაგირით. ამასთანავე შემდეგშიაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დაწყებითი სკოლების საქმეს აღმოსავლეთ საქართველოში. 2) საჭიროა ხელის შეწყობა უმაღლეს დაწყებით სკოლების საქმისათვის ყველგან; საჭიროა გაეწიოს დახმარება ხაზინიდან შეძლებისამებრ იმ უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებს, რომლებსაც ხაზინა არ ინახავს. საჭიროა მათი გამრავლება საქართველოს ყველა ადგილებში (რადიუსი 3—4 ვერსი) სასოფლო სემინარიების რიცხვი აღმოსავლეთ საქართველოში უნდა გადიდდეს. სასურველია გადაკეთდეს სემინარიებათ ზოგიერთი გიმნაზია აღმოსავლეთ საქართველოში. 4) უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს სკოლების უზრუნველყოფას სასწავლო ნივთებით (რუქები და სხვ.), და მოწყობილებით (კაბინეტები, კოლექციები და სხვ.). პროვინციაში, სადაც ეს სკოლები ახლადაა დაარსებული, საჭიროა აგრეთვე მიეცეს მათ საამშენებლო მასალა და მიწა. 5) ეროვნულ უმცირესობათა სკოლების მიმართ კვლავაც წარმოებულ უნდა იყოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მათი ეროვნულ-კულტურულ უფლებების დაცვით. 6) კომისია კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ უწყებამ შესაფერი ენერგია გამოიჩინა ხელოვნების დარგების მოწესრიგების საქმეში და ისინი სახელმწიფოს გარშემო შემოიკრიბა. საჭიროა ამ დარგებში მომუშავეთა შეკავშირებაც ხელოვნების არსებულ ორგანოების გარშემო 7) კომისია სურვილს გამოსთქვამს მოისმინოს სრული მოხსენება სახელმწიფო უნივერსიტ. შესახებ 8) კომისია აღიარებს, რომ მასწავლებლები არ არიან უზრუნველყოფილნი არც ნივთიერად, რაც საერთო პირობებს მიეწერება; მაგრამ ისინი არ არიან უზრუნველყოფილი არც მომარაგებით, თუნდაც იმ მასშტაბით, რომელიც მიღებულია სახელმწიფოს ყველა მუშა-მოსამსახურეთათვის. კომისია იმედს გამოსთქვამს, რომ ამ მხრივ უწყების მიერ მიღებული იქნება ყოველნაირი ზომა, რათა ეს ნაკლი ასე მწვავე განათლების საქმისათვის გამოსწორებულ იქნეს. საერთოდ კომისია კმაყოფილებას გამოსთქვამს მოხსენების გამო და იმედოვნებს, რომ შემდეგშიაც უწყების მთელი ძალ-ღონე მიმართული იქნება იმ დაბრკოლებათა წინააღმდეგ, რომლებიც წინ ეღობება სახალხო განათლების საქმის სათანადო სიმაღლეზე აყვანას. (სდს).

თავდაცვის ფონდი

თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობის პრეზიდიუმი მოთავსებულია დამფუძნებელ კრების შენობაში, ოთახი № 29. შესავალი ერმოლოვის ქუჩა. ტელეფ. № 6—18.

პრეზიდიუმი იღებს ყოველ დღე 11—1 საათ მთავარი გამგეობის საქმეების მართველი—9–3 საათ. და საღ. 6—7 საათ.

პრეზიდიუმის სხდომები იმართება შაბათობით საღ. 7 საათ.

მთავარი გამგეობის დადგენილების თანახმად შეწირულება ფულითა და ძვირფასი ნივთებისა მიიღება სახელმწიფო ბანკში.

განცხადება

ბატონო რედაქტორო! ნება მომეცით გამოვაცხადო შემდეგი: მე ვითვლებოდი დღემდის კომუნისტურ პარტიაში. დღეიდან კი ვაცხადებ უარს, რადგანაც ეს პარტია არ იცავს სწორ გზას და ვადგენ მათ მიერ მოცემულ საწევრო ბარათს თარიღით 26 და კვიტანცია ნომერი 10. გადახდილია ჩემ მიერ კომუნისტის გაზეთის სასარგებლოთ ორასი მანეთი. რაზედაც ხელს ვაწერ: **ალექსანდრე ამირანის ძე დათეშიძე.**

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბისგან

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის ბრძანებაში შრომის ბეგარის შემოღების შესახებ შეპარულია შეცდომა. ამ ბრძანების პირველი პუნქტის ტექსტი უნდა იყვეს ასეთი: „შემოღებულია სავალდებულო შრომის ბეგარა საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც არ ეწევა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და არ ასრულებს რაიმე განსაზღვრულ სამსახურს".

მთავარი შტაბი.

ფრიად საყურადღებო დაწესებულება

ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ეხლახან დაარსებული „საქართველოს თავდაცვის ფონდი" უაღრესად მნიშვნელოვანი, და აუცილებელია. მისი მიზანია დახმარება გაუწიოს მთავრობას რესპუბლიკის თავდაცვისა და დამოუკიდებლობის საქმეში. ეს მას მიერ დასახული მიზანი სრულიად ამართლებს მის არსებობას და ყოველივე მოქალაქე, რომელიც ღირსია ატაროს ეს სახელი, ვალდებულია ყურადღებით მიეპყროს დაწყებულ საქმეს და შესაფერათ დაეხმაროს მას. უამისოთ ხეირიანათ ვერც იარსებებს „თავდაცვის ფონდი" და მისი მნიშვნელობაც შესუსტდება. ამ ახალ ორგანიზაციაში შედის და თავს იყრის არსებულ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციათა და სხვა და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა რწმუნებულნი. ის არის მთელი ხალხის ორგანო და მას მხარი უნდა დაუჭიროს ყველამ განურჩევლათ პოლიტიკურ რწმენისა, სოციალურ მდგომარეობისა. არ უნდა დარჩეს ვინმე, რომელსაც თავისი წვლილი არ შეეტანოს მის გამაგრებაში და განმტკიცებაში. არავის არ აქვს უფლება გულცივათ მოეპყრას რესპუბლიკის თავდაცვის საქმეს. ვინც ამას გაურბის, მას რა თქმა უნდა, არ აინტერესებს საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი მშვიდობიანი არსებობა და ამ შემთხვევაში ის არის ან შეუგნებელი ან—მისი მტერი.

ამისათვის, ვისაც სურს, რომ რესპუბლიკის თავდაცვის საქმე ღირსეულ დონეზე იდგეს; ვისაც სურს, რომ ჩვენ ჯარს, და გვარდიას, არ მოაკლდეს სანოვაგე, ტან-ფეხსაცმელი, უნდა გაიღოს ის, რის გაღებაც მას შეუძლია! ქალაქის მუშამ და მოსამსახურემ ხელფასის ნაწილი, სოფლის მუშამ ხორბლეულობა, მატყლი და სხვა, მდიდარმა ძვირფასი ნივთები და ფული.

დარწმუნებული ვართ, რომ „თავდაცვის ფონდის მთავარი გამგეობის" მოწოდება არ დარჩება უპასუხოთ და ყველანი ენერგიულათ მოეკიდებიან ამ საყოველთაო, დიდ დაწესებულების საქმეს და მით უზრუნველყოფენ რესპუბლიკის დაცვას გარეშე მტრისაგან და მის განვითარებას მშვიდობიან და ნორმალურ პირობებში.

ანტონ ყორყოლიანი.

მოქალაქენო! ხალხის რჩეული შვილები ბრძოლის ველზე არიან. გაყინულ სანგრებში სხედან. დარაჯობენ ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს ქვეყანას. დაეხმარეთ ფრონტს.

ფინანსთა სამინისტროში

დეკემბრის 6 ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებლის ს. ავალიანის თავმჯდომარეობით შესდგა ფინანსთა მინისტრის საბჭოს კრება, რომელზედაც მოისმინეს საკითხი ქართულ ცენტრალურ საზოგადოების დამზღვევ „კავშირი"-ს წესდების დამტკიცების შესახებ. საკითხი გადაცემული ჰქონდა განსახილველად საგანგებო კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი. კომისიამ თავისი მოხსენება წარუდგინა საბჭოს. მოხსენებაში კომისია აღნიშნავს ასეთის საზოგადოების დაარსების საჭიროებას. საზოგადოებამ კომისიის აზრით უნდა იმოქმედოს მთავრობის კონტროლის ქვეშ. რაც შეეხება საკითხს მთავრობის საზოგადოების ოპერაციებში პირდაპირ მონაწილეობის მიღებას, კომისია ფიქრობს ამ საკითხის დროებით გადადებას იმ პირობით, რომ მთავრობას შეუძლია მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების ოპერაციებში აქციების შესყიდვით. ფინანსთა სამინისტროს საბჭომ დაადგინა მიიღოს კომისიის მოხსენება და სთხოვოს მინისტრს საზოგადოების წესდების დამტკიცება.

შემდეგ საბჭომ მოისმინა საკითხი აბაშის სავაჭრო სამრეწველო ბანკის წესდების დამტკიცების შესახებ. საბჭომ წესდება დაამტკიცა. ამასთანავე გადასწყვიტა სთხოვოს ფინანსთა მინისტრს მისი დამტკიცება: რაც შეეხება ოზურგეთის კომერციულ ბანკის და ახალსენაკის ბანკის წესდების დამტკიცების საკითხი, საბჭომ დაადგინა გადასდვას მისი დამტკიცება უკანასკნელთა ბალანსის განხილვამდე. შემდეგ თანახმად კოვალენსკის მოხსენებისა საბჭომ დაადგინა გამომცემელთა სააქციონერო საზოგადოების „გრუზია"-ს შესახებ სთხოვოს ფინანსთა მინისტრს მისი წესდების დამტკიცება. ამასთანავე საბჭომ დაამტკიცა პროექტი სააქციონერო საზოგადოება „მირი" ძირითადი კაპიტალის გადიდება 10 მილიონ მანეთამდე, (სდს.).

საქართველოს შეიარაღებული ძალების მესამე წლის თავი ფრონტზე თენდება. გაუმარჯოს ფრონტს!

გვარდიის დღისათვის

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბისაგან. (12 დეკემბრის დღესასწაულის საერთო წესრიგი).

საერთო დღესასწაულის ხასიათი ჩვეულებრივია.

საქართველოს რესპუბლიკის ყველა კუთხეებში დღითი იმართება სადღესასწაულო ალლუმები შეიარაღებული ძალებისა. საღამო უნდა მოეწყოს შინაარსიანი პროგრამით—და მიმდინარე მომენტზე მოხსენებებით.

ხელმძღვანელობა ეკისრება ადგილობრივ შტაბებს სამხედრო შტაბებთან, ქალაქის თვითმართველობასთან და ერობებთან ერთად.

(თფილისის წესრიგი:) დღესასწაული იწყება 11 საათზე. დღესასწაულის ნიშნად წინ ზარბაზნიდან გაისვრიან რამოდენიმეჯერ.

ქალაქი იქნება სადღესასწაულოდ მორთული, ყველა სახლები დროშებით, ყვავილებით, გირლიანდებით.

ტრამვაის ვაგონები და ავტომობილებიც მორთული იქნება.

ამ დღეს ჩვეულებრივი მატარებლები გავლენ საგანგებოთ მორთულნი.

ქუჩაში აფიშები, პლაკატები.

გაიყიდება ჟურნალი „გვარდიელი", გავრცელდება მოწოდებები, მოწოდებები გავრცელდება ჰაეროპლანებითაც.

ალლუმის წესრიგი: მონაწილეობას მიიღებს გვარდია და ჯარი, პროფესიონალური კავშირები, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოწაფეები, ორკესტრები: გვარდიის, ჯარის, სასწავლებლების.

გვარდია და ჯარი დაიჭერს ორთავე მხარეს პირველი გიმნაზიიდან დაწყებული ვერის ხიდისაკენ, ხოლო სასახლის მეორე მხარეს დაიხაზება პროფესიონალური კავშირები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

სიტყვებს წარმოსთქვამენ მთავრობის და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარენი.

საღამოს წესრიგი: ყველა რაიონებში მოეწყობა კლუბებში და თეატრებში, მუდმივ ნაწილებში 1 და 2 სახაზინო თეატრებში საღამოების გახსნამდე გაკეთდება მოხსენებები თანამედროვე მომენტზე.

საღამოთი რაკეტები, ილიუმინაცია, ზარბაზნებიდან სროლა.

ნეკროლოგი

რაჟდენ ჯავახიშვილი.

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მანგლისში გარდაიცვალა მანგლისის რაიონის მილიციის უფროსი ამხ. რაჟდენ ჯავახიშვილი. ვინც ახლო იცნობდა რაჟდენს, მისთვის აშკარაა, რომ ის იყო იშვიათი პიროვნება.

ერთხელ მაინც ეჭვი შეეტანა ვინმეს მის ზნეობრივ სიფაქიზეში? თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ მორალურ სიმტკიცესთან ერთად იგი იყო თამამი და დაუცხრომელი მუშაკი, მუდამ და თავდავიწყებამდი სამსახურის ასრულებაში გართული, რომელ აც დამსახურებული ჰქონდა ერთ და იმავე დროს ხალხის კმაყოფილება და უფროსების მადლობა, უნდა ვიცნოთ, რომ იგი მართლა იშვიათი ადამიანი იყო.

საზოგადოთ ის იყო ჩუმი და არ უყვარდა მის მიერ გაკეთებულ საქმეებზე ლაპარაკი (ამიტომ ბევრმა არც კი იცის მაგ. რა დიდი გმირობა გამოიჩინა მან სომხეთის ომში). ის მაშინ ალავერდში იყო კამისრად და დიდი დახმარება გაუწია ჩვენი ჯარების ზოგიერთ ნაწილებს. მისი გმირობის დამახასიათებელია ისიც, რომ როცა სომხებმა ტყვეთ წაიყვანეს მისი ცოლი და პატარა ბავშვი, მან შეკრიბა თათრების ჯგუფი და გამოიტაცა ტყვეობიდან ცოლშვილი.

ყველას, ვინც ახლო იცნობდა ამ იდეურ მუშაკს და რაინდ კაცს, გული აუტირდება მის სიკვდილით. უბედური სულ ახალგაზდა იყო, რაღაც 25-ის წლისა და დარჩა უმწეო მდგომარეობაში ცოლი და 2 პაწია ბავშვი.

დ. ახ.

მოქალაქენო! სამი წელიწადი სრულდება 12 დეკემბერს, რაც ჩვენი გვარდია და ჯარი ბრძოლაშია.

დღეს კიდევ სისხლიანი დრუბლები დასტრიალებენ ჩვენს ქვეყანას.

ბ. მოხუცის წერილის პასუხად

გაზეთ „საქართველოში" (იხ. № 161) მოთავსებულია უზარმაზარი წერილი შემდეგი სათაურით: „ახალქალაქის ტრაგედია". წერილის ავტორი ბ. მოხუცი დაწვრილებით მოგვითხრობს ზოგიერთა ეპიზოდებს იმ საშინელი მკვლელობებისას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ახალქალაქის რაიონში 1918 წ. დასაწყისიდან დღემდე. აქ არ შევუდგებით ამ წერილის დაწვრილებით განხილვას, მე მხოლოდ მინდა აღვნიშნო წერილის ერთი უმთავრესი ყალბი მხარე. ძნელია იმის თქმა, თუ რამ გამოიწვია ეს სიყალბე—საქმის უცოდინარობამ, თუ პარტიულმა ცალმხრივობამ და მიდგომილობამ. წერილის ყალბი მხარე მდგომარეობს შემდეგში:

ბ. მოხუცს ყველა ახალქალაქის რაიონში მომხდარ მკვლელობების აქტიურ მონაწილეობაში ჩვენი იქაური ამხანაგები მიაჩნია. ის ამხანაგები, რომლებიც დღეს მთელ რაიონში ყველა საქმეებს სათავეში უდგანან.

ეს ყალბი ბრალდება იმდენათ კატეგორიულია, რომ მკითხველზე ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ბ. მოხუცს ხელთ ეჭიროს ამის უტყუარი საბუთები. ვინც არ იცის ისტორია, როგორც რევოლიუციონური მოძრაობისა, ისე იმ ანარქიისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა არა მარტო გორის მაზრაში და მის ერთ რაიონში—ახალქალაქში,—იმას ბ. მოხუცი ადვილათ შეიყვანს შეცდომაში და ადვილათ დააჯერებს იმაში, რომ ს. დ. პ. ც. კ. ხელს აფარებს თავის პარტიის წევრებს, მიუხედავათ იმისა რომ მათ ჩაიდინეს აუარებელი უმძიმესი და უსაშინელესი დანაშაული, მაგრამ საჭიროა ჩვენ გავეცნოთ ახალქალაქის რაიონში მოძრაობის ნამდვილ ისტორიას (რასაკვირველია არა ბ. მოხუცისაგან მოთხრობილ ისტორიას), რომ დავრწმუნდეთ ბ. მოხუცის წერილის უმთავრეს ბრალდებების სიყალბეში.

ახალ ქალაქის რაიონში ჯერ კიდევ რუსეთის თვითმპყრობელობის რეჟიმის დროს ითვლებოდა რევოლიუციონურ მოძრაობის ერთ მოწინავე რაიონათ მთელ გორის მაზრაში. აქ იყო ძლიერი თავადაზნაურობა, მსხვილი მემამულეები ერთის მხრივ და ღატაკი და დამონებული გლეხობა მეორეს მხრივ. ასეთ ობიექტიურ ნიადაგზე აღორძინდა და განვითარდა ამ ორ წოდებათა შორის სასტიკი ბრძოლა. არა ერთი და ორი საუკეთესო ამხანაგი იქნა ამ რაიონიდან გაგზავნილი უვადო და ვადიან კატორღაში. ბევრ მათგანს აღარ ეღირსა დაბრუნება და იქ, შორეულ თოვლიან ყინულიან ციმბირში სამუდამოთ ჩაყარა თავისი მრავალ ტანჯული ძვლები. 1917 წ, როდესაც მოხდა გადატრიალება მთელ რუსეთში და მთელ ჩვენს ქვეყანაში, მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ჩვენი პარტია, ახალ ქალაქის რაიონში არ მომხდარა არც ერთი პოლიტიკური ხასიათის მკვლელობა. მკვლელობები იწყება 1918 წ. დასაწყისიდან. როგორც მთელ რუსეთში, ისე ჩვენში „უსისხლო" რევოლიუცია საშინელი სისხლით შეიღება და ეს მოხდა მაშინ, როდესაც ეგრეთ წოდებული ჯარის კაცები ფრონტებიდან სახლში დაბრუნდნენ და აი ამ გაბოლშევიკებულმა „ფრონტოვიკებმა" მოახდინეს აუარებელი შემაძრწუნებელი, უაზრო მკვლელობები და ის ჩვენი ამხანაგები, რომლებიც თქვენ ახლა ამ მკვლელობებს აბვევთ თავზე, სასტიკათ ებრძოდენ იმ გაბოლშევიკებულ ჯარის კაცებს. ბევრი ჩვენი საუკეთესო ამხანაგი შეეწირა მსხვერპლათ ბოლშევიკურ ანარქიასთან ბრძოლას. მოიგონეთ სანდრო კეცხოველი, გიორგი მაჩაბელი და ბევრი კიდევ სხვები. მთელს გორის მაზრაში გარდა ცხინვალის რაიონისა, ყველაზედ მეტი ბოლშევიკური გამოსვლები მოხდა ახალქალაქის რაიონში და აქ ხშირათ ბ. მოხუცისაგან ათვალწუნებული ჩვენი ამხანაგების სიცოცხლე ბეწვზედ ეკიდა ხოლმე და აი ახლა, როდესაც რაიონში მშვიდობიანი ცხოვრება დამყარდა და როდესაც გაქცეული თავად-აზნაურობა დაუბრუნდა თავის სახლკარსა,—აქ სდგება კარგი მაგარი ჯგუფი თავად-აზნაურობისა და ეს ჯგუფი თავის ბრძოლის მიზნათ ისახავს ჩვენი მოწინავე ამხანაგების რაიონიდან გაძევებას, იმ ხალხის გაძევებას, რომელმაც ისინი და მათი სახლ-კარი არა ერთხელ და ორჯელ გადაარჩინა ბოლშევიკების განადგურებისაგან. შეიძლება ბ. მოხუცმა არ იცოდეს და ჩვენ კი ვიცით, რომ ამ რაიონში თავისუფლათ ცხოვრობენ, როგორც ჩვენი ნაკატორღალი ამხანაგები, ისე მათი კატორღაში გამგზავნი პირები, მაგრამ მიუხედავათ ამისა აქ შურისძიებას და მტრობას ადგილი არ ჰქონია და არც ექნება.

ამ ბოლო დროს, როგორც ყველგან, აქაც ადგილი ჰქონდა რამდენიმე პირადი ხასიათის მკვლელობას, მაგრამ მე ვეკითხები ბ. მოხუცს—რა შუაშია აქ პარტია?

შეიძლება რომელიმე პარტიის წევრმა მიიღო მონაწილეობა პირადი ხასიათის მკვლელობაში და ნუ თუ პარტია ამაში პასუხისმგებელია? ბ. მოხუცმა კარგათ იცის, რომ აქ პარტია არაფერ შუაშია, მაგრამ... და მაგარი ის არის, რომ ამ რაიონში არის მემარჯვენეთა ჯგუფი და რომ ეს ასეა ბ. მოხუცს შეუძლიან შეეკითხოს გამომძიებელ ბ. ლამბაშიძეს, რომელიც ამ რაიონს ბ. მოხუცზე უკეთესათ იცნობს. ეს ჯგუფი ცდილობს ყოველნაირი, რაიონში მომხდარი ბოროტმოქმედებები, გამოიყენოს თავისი პოლიტიკურ მიზნებისათვის და დამნაშავეთ გამოიყვანოს ჩვენი პარტია და მისი ადგილობრივი წევრები. რაც შეეხება წერილის იმ ადგილს, სადაც ბ. მოხუცი პირადათ ჩემზე, დეპუტატ ტატიშვილზე და ადგილობრივ ერობათა წარმომადგენლებზე ლაპარაკობს და ამტკიცებს, რომ ჩვენ მუქარით და ძალდატანებით ვაიძულეთ პროკურორის ამხანაგი შალიბაშვილი და გამომძიებელი ბ. ლამბაშიძე თავი დაენებებიათ გამოძიებისათვის, მე ვაცხადებ, რომ ბ. მოხუცი აქ გადაცდა ყოველგვარ ლიტერატურულ, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ეთიკის საზღვრებს. ეს არის მტკნარი ცილის წამება და ეს რომ ასეა მკითხველი დაინახავს შემდეგიდან.—ჩვენ გვქონდა ცნობები იმის შესახებ (ბ. მოხუცს უნდა მოვახსენოთ, რომ ეს ცნობები მივიღეთ არა მარტო ჩვენი პარტიული ამხანაგებისაგან) რომ ამ რაიონში ის მემარჯვენე ჯგუფი, რომელზედაც მე ზემოთ მოგახსენეთ, ახდენს დიდ ზეგავლენას აქ მიმდინარე გამოძიებაზე და ეს გამოძიება ჰკარგავდა იმ ერთად ერთ ღირსებას, რომელსაც ასეთ შემთხვევაში ობიექტივობა და მიუდგომლობა ეწოდება.

ეს საკითხი სამაზრო ერობის ყრილობაზეც იყო დასმული და ჩვენ გვთხოვეს ამ საქმეს ადგილობრივ გავცნობოდით და მიგვეღო ზომები, რომ უდანაშაულო ხალხი ტყუილ უბრალოთ არ დასჯილიყო. ჩვენ გავემგზავრეთ ახალქალაქის რაიონში და იქ ხანგრძლივი ბაასი გვქონდა ამ საქმის შესახებ პროკურორის ამხანაგ ბ. შალიბაშვილთან და გამომძიებელ ბ. ლამბაშიძესთან, მე იმათ არა ერთხელ და ორჯელ განვუცხადე, რომ მათ საქმეში ჩვენ არ ვერევით და ისინი სრული თავისუფალი არიან აწარმოვონ გამოძიება, ამასთან ერთათ ჩვენ მათთვის არ დაგვიმალავს და ბევრი ველაპარაკეთ რაიონში შექმნილ მდგომარეობაზე და იმ ცნობებზე, რომლებიც ჩვენა გვქონდა. ვუთხარით ისიც, რომ აქ საჭიროა გამოძიება დადგეს სათანადო ობიექტივობის და მიუდგომლობის სიმაღლეზე. ჩვენ ამის შესახებ გავუგზავნეთ ტელეგრამა თვით იუსტიციის მინისტრს ამხ. არსენიძეს, სადაც ჩვენ ვთხოვდით ამ რაიონისათვის მიექცია მას სერიოზული ყურადღება, დაენიშნა ყოვლათ მიუდგომელი გამომძიება, რომელიც აღმოაჩენდა ნამდვილ დამნაშავეებს, რომლებიც სა-

სტიკათ იქნებოდენ დასჯილნი.

რამდენათ დიდი ყურადღება მიაქცია მინისტრმა ამ საქმეს,—ეს იქიდანაც ჩანს, რომ ის თვითონ მოვიდა რაიონში და გამოძიების საქმეს პირადათ ხელმძღვანელობდა. აქედან მკითხველი ხედავს, რომ ჩვენს ახალქალაქში მისვლას და იქ ადგილობრივ საქმის გაცნობას ერთათ ერთი მიზანი ჰქონდა: გამოძიება ყოფილიყო ობიექტიური, ის დამდგარიყო ყოველნაირი გავლენის გარეშე, აღმოჩენილი ყოფილიყო ნამდვილი დამნაშავენი და ისინი ყოფილიყვნენ სასტიკათ დასჯილნი.

ვიმეორებ,—არავითარ მუქარას და ძალდატანებას ჩვენის მხრივ იქ ადგილი არ ჰქონია. ამას დაამოწმებენ თვით პროკურორის ამხანაგი ბ. შალიბაშვილი და გამომძიებელი ბ. ლამბაშიძე დამფუძნებელი კრების წევრი გ. ცაბაძე.

1920 წ. 7 დეკ.

შრომის სამინისტროში

ერობათა კავშირის კომიტეტის შეკითხვაზე შრომის სამინისტრომ შემდეგი განმარტება გააკეთა: მობილიზაციის წესით გაწვეულთა ადგილზე დროებით მოწვეულ მუშებს და მოსამსახურეებს არ შეუძლიათ მიიღონ პური მუშათა მაგიერიდან. პურის მაგივრათ წარმოებათა პატრონმა დროებით დაქირავებულ მუშებსა და მოსამსახურეებს უნდა მისცენ ჯილდოთ ჯამაგირის 25%.

— წყალთა სამმართველოს შეკითხვაზე შრომის სამინისტრომ განმარტა: 1) ერთ და იმავე მოსამსახურეს არ შეუძლია ერთ და იმავე დროს ორი შტატის ადგილის დაკავება. 2) პროცენტული მომატება და ერთდროული დახმარება მოსამსახურე ერთ ადგილზე უნდა იღებდეს, 3) საპენსიო კასაში შესატანი ფული უნდა დაუკავდეს იმ ადგილზე, სადაც მოსამსახურეს შტატის ადგილი უკავია.

— შრომის მინისტრის ამხანაგის ა. ბახტაძის თავმჯდომარეობით შესდგა კრება ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა პერსონალისათვის პრემიალურ ჯილდოს შემოღების საკითხის განსახილველათ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, რომლის დროსაც გამოირკვა, რომ პრემიალურ სისტემის რაციონალური მეთოდით ცხოვრებაში დაუყონებლივ გატარება შეუძლებელია; თათბირმა დაადგინა: გზათა უწყებისა და სახელმწიფო წარმოებათა სატეხნიკო და საადმინისტრაციო დაწესებულებებშიც და კანტორის მოსამსახურეთათვის დროებით შემოიღოს პრემიალური სისტემა. თათბირი დაჯილდოების მიღებულ მეთოდს არა სთვლის უნაკლულოთ და ამიტომ იგი წინადადებას აძლევს სათანადო სახაზინო წარმოებათ, რომ ისინი შეუდგენ დაჯილდოების უფრო რაციონალურ პროექტთა შემუშავებას, ეს პროექტები დამყარებული უნდა იყოს წარმოებათა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე და ეკონომიის გაძლიერებაზე.

საქართველოს სავათმყოფო კასათა პირველი კონფერენცია

(მოხსენებები ადგილებიდან).

ბათომი. სავათმყოფო კასა ბათომში დაარსდა 2½ თვის წინად და ჰყავს 700 წევრი. საექიმო დახმარების საქმე კასამ თავის ხელში აიღო. მონაწილეთ კასაში შეაქვთ 2 პროცენტი, მწარმოებლებს 4. დახმარებას სავათმყოფო კასა აძლევს სამუშაო ქირის $^{2}/_{3}$ და $^{1}/_{2}$ რაოდენობით.

ტყიბული. სავათმყოფო კასა ტყიბულში დაარსდა 1919 წელს. და ახლა მონაწილეთა რიცხვი შესდგება 1500 წევრისაგან. დახმარება ეძლევათ სამუშაო ქირის ნახევარის რაოდენობით. მუშებისა და მწარმოებლების გადასახადი უდრის ერთ პროცენტს. კასის მონაწილეთა ოჯახის წევრებს ეძლევათ საექიმო დახმარება. სავათმყოფო კასა დახმარებას უწევს თავის წევრებს სტიქიურ უბედურების დროს (ცეცხლი, წყალდიდობა და სხვა).

1919 წელს კასაში შემოვიდა 105,000 მანეთი, დაიხარჯა 55000 მანეთი; 1920 წელს შემოსავალი უდრის 1 მილიონ მანეთს, გასავალი—600,000 მანეთს, მაში შედის კასის შენახვის ხარჯებიცა.

ფოთი. სავათმყოფო კასა ფოთში დაარსდა 1919 წელს დამტვირთავთა პროფესიონალურ კავშირის ინიციატივით, რომლის გამგეობა გახდა სავათმყოფო კასის გამგეობათ. დახმარებას კასა აძლევდა სამუშაო ქირის ნახევარის რაოდენობით. კასის სუსტად მოქმედების გამო 1920 წელს მოხდა მისი რეორგანიზაცია და არჩეულ იქნა ახალი გამგეობა. ეხლა კასის წევრებს ეძლევათ უფასო საექიმო დახმარება სამბულატორიო ფოთში და თფილისში. ინვალიდებს ეძლევათ დახმარება სამუშაო ქირის $^{1}/_{2}$ რაოდენობით. უბედურ შემთხვევის დროს წევრებს ეძლევათ სრული სამუშაო ქირა, მაგრამ უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევა გავრცელებულია მხოლოდ შავი ქვის მტვირთავებზე, სხვა მტვირთავნი არ არიან დაზღვეულნი. კასას ჰყავს 694 წევრი. კასაში შესატანი და დამატებითი გადასახადი უდრის 3%, სავათმყოფო კასა აწარმოებს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას. მაღაროების ადგილში მუშაობის გამო, მტვირთავთა შორის ძლიერ გახშირებულია ავადმყოფობა. დიდი დახმარების გამო, სავათმყოფო კასას მუდამ დეფიციტი ჰქონდა. ამიტომ ეხლა დახმარება ეძლევათ სამუშაო ქირის ნახევარი, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ეძლევათ სამუშაო ქირის $^{2}/_{3}$.

სოხუმი. სოხუმის სავათმყოფო კასა დაარსდა პროფესიონალურ კავშირთა მიერ. კასას აქვს თავისი ამბულატორია და აფთიაქი და თვით უწევს საექიმო დახმარებას თავის წევრებს. კასის მონაწილეთა რიცხვი უდრის 700 წევრს. კასაში შესატანის რაოდენობა უდრის 3 პროცენტს, წარმოება უმატებს 6 პროცენტს (3 პროცენტი წამლობისათვის და 3 პროცენტი დახმარების აღმოსაჩენათ).

ქუთაისი. ქუთაისში სავათმყოფო კასა დაარსდა მიმდინარე წლის სექტემბერში და მისი მუშაობა ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული. კასაში შედის 42 წარმოება 300-მდე წევრით. გადასახადი უდრის ერთ პროცენტს.

ჭიათურა. ჭიათურაში არ არის სავათმყოფო კასა, თუმცა მისი დაარსების საკითხი დასმულია დღის წესრიგში. ადგილობრივი პროფ. კავშირთა საბჭო საექიმო დახმარებას არ უწევს შავი ქვის მტვირთავთ. მაღაროებში მომუშავენი და მათი ოჯახის წევრები ღებულობენ სამბულატორიო დახმარებას შავი ქვის მრეწველთა ყრილობისაგან.

დახმარება ეძლევათ სამუშაო ქირის ნახევრის რაოდენობით. პროფესიონალურ ავათმყოფობის დროს ყრილობათა საბჭო არავითარ დახმარებას არ უწევს. ყრილობის საბჭო ეხლა აძლევს პენსიას 313 პენსიონერებს, ამასთანავე პენსიის რაოდენობა მიმდინარე წელში გადიდებულ იქნა 6 ჯერ.

ჭიანკა. 2 წელია რაც ჭიანკაში არსებობს სავათმყოფო კასა, მაგრამ მისი საქმე სასურველად არ არის დაყენებული. დახმარება ეძლევა სამუშაო ქირის $^{1}/_{2}$—$^{3}/_{4}$-მდე. კასის მონაწილეთა და მათი ოჯახის წევრთა ექიმობა ხდება მწარმოებლის ხარჯზე. კასაში შესატანი და ზედმეტი გადასახადი უდრის $^{1}/_{2}$ პროცენტს. ინვალიდობის დროს მუშა არ არის უზრუნველყოფილი.

ბორჯომი. უკანასკნელ დრომდე ბორჯომში არსებობდა ორი სავათმყოფო კასა—ბორჯომის სახელმწიფო ქონების მუშათა და ბორჯომის შუშის ქარხნის მუშებისა. ნოემბერში ეს ორი კასა შეერთებულ იქნა ერთად. კასაში შესატანი უდრის 1 პროცენტს.

პროფესიონალურ კავშირებში

პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტში.

7 დეკემბერს შესდგა აღმასრულებელ კომიტეტისა და თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატის შეერთებული სხდომა.

აღმასრულებელ კომიტეტში შემოსული იყო რამოდენიმე განცხადება ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. განცხადება იყო, როგორც თფილისის პროფ. კავშირებიდან, აგრეთვე პროვინციებიდან.

ამხ. შ. აბდუშელიშვილი აცნობს სხდომას იმ დადგენილებებს, რომელიც მიუღია მთავრობას მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. მთავრობის დადგენილება ასეთია: დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები ფიზიკურ მომუშავეებზე პურის რაციონის $^{1}/_{2}$ გირ. გასადიდებლათ, თითოეულ მუშა მოსამსახურეს მიეცეს ოჯახის წევრზე 3000 მანეთი ხოლო არა უმეტეს 10,000 მანეთისა ოჯახზე ეს თანხა მიეცემათ მათ არა ფულით, არამედ სურსათ სანოვაგით და მანუფაქტურებით. მიღებულ იქნას ზომები, მომარაგების სამინისტროს მიერ, რომ კოოპერატივებში და სხვა ასეთ ორგანიზაციებში არსებული მანუფაქტურა შეგროვილ იქნას მასთან და აქედან დაურიგდეს მუშა-მოსამსახურეთ. მიღებულ იქნას ზომები მუშებისადმი სხვა პირველ საჭიროების საგნების დასარიგებლათ. ეს დადგენილებანი საჩქაროდ გატარდეს ცხოვრებაში.

შემდეგ ამხანაგი აბდუშელიშვილი აცნობს სხდომას, რომ ეს ზომები განხორციელებულ იქნება მთელ რესპუბლიკაში.

ამხ. ი. ბადრიძე აცნობს სხდომას სპეციალურ კომისიის დაარსებაზე, რომელსაც მინდობილი აქვს საწყობების დათვალიერება და მუშა-მოსამსახურეთათვის აუცილებელ საგნების შეგროვება. ეს კომისია უკვე მოქმედობს.

ახლო მომავალში ფიზიკურ მომუშავეთ დაურიგდებათ 1½ გირვანქა პური. მხოლოდ იანვრის შუა რიცხვებიდან მუშა-მოსამსახურეთ მიეცემათ 2 გირვანქა პური, ხოლო ოჯახის წევრებს 1½ გირვანქა სულზე.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: 1) ეთხოვოს მთავრობას, რომ ის ზომები მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, რომელიც მას მიუღია თავის სხდომაზე, დაჩქარებით გატარდეს ცხოვრებაში. 2) ხსენებული ზომები გავრცელდეს რესპუბლიკის ყველა კუთხეებზე და ამისათვის ყველგან მოეწყოს შესაფერისი აპარატი. 3) პროვინციის ისეთ ადგილებში, სადაც ეს ზომები ტეხნიკურათ ვერ გატარდება, მუშა-მოსამსახურეთ მიეცეთ ფული.

სხდომამ მოისმინა სახალხო გვარდიის დღესასწაულის გამო შტაბის დადგენილება.

სხდომამ დაადგინა: საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელი კომიტეტი მიმართავს საქართველოს ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს, მოწოდებით, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახალხო გვარდიის დღესასწაულში. თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატი კი მიმართავს თფილისის მუშა-მოსამსახურეთ თავიანთი სურვილით მონაწილეობა მიიღონ დღესასწაულში. არჩეულ იქნა კომისია, რომელიც შეიმუშავებს დღესასწაულში მონაწილეობის მიღების გეგმას.

ამის შემდეგ შეერთებულმა სხდომამ მოიწონა და დამტკიცა პროფესიონალურ კავშირთა მოქმედების გამომრკვევ კომისიის შემდეგი პრაქტიკული წინადადებები:

1) გამომუშავებულ და გატარებულ იქნას კავშირებში: ფორმალური წესდება, მმართველობის ორგანოების წესდება, კოლლექტიური ხელშეკრულება, სტატისტიკურ საქმის წარმოებისა და ანგარიშის ფორმები.

2) აუცილებლათ იქნას ცნობილი კავშირის წევრთა ხელ-ახალი რეგისტრაციის მოხდენა. ამასთანავე კავშირში მიღებულ უნდა იქნას დაქირავებული პირები. მოხდეს კავშირთა ცენტრალიზაცია მათი წარმოების პრინციპის მიხედვით და ამავე პრინციპით მოხდეს კავშირების დაყოფა წარმოების მუშათა შესაფერ კავშირში გადაყვანით.

3) მოწყობილ იქნას კავშირებში 200 წევრისაგან შემდგარი დელეგატთა კრება, რომელიც იქნება კავშირების ხელმძღვანელი ორგანო.

4) მიზანშეწონილათ იქნეს ცნობილი პროფესიონალური სექციების არსებობა მხოლოთ როგორც გამგეობის ნეიტრალური დამხმარე ორგანო.

5) დაარსებულ იქნას თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან განყოფილებები: საორგანიზაციო, შრომის დაცვის, კულტურულ-განმანათლებელი.

6) აუცილებლათ იქნას ცნობილი პერიოდულათ თფილისის საბჭოს ანგარიშის მიღება ც. კომიტეტის ორგანოში.

8) დღის წესრიგში დაისვას წარმოებების დათვალიერება შრომის ნაყოფიერების გამოსარკვევათ.

დადგენილ იქნა 1 იანვრიდან გაიხსნას პროფ. მოძრაობის კურსები. ეცნობოს საქართველოს ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს, რომ იმ პირთა მაგიერ, რომელნიც უნდა დასწრებოდენ კურსებს და მობილიზაციით გაწვეულ იქნენ, სხვა გამოგზავნონ.

აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა გამოსცეს რამოდენიმე ათასი ეგზემპლიარი კ. კაუცკის წიგნისა ფ. ენგელსის შესახებ.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 30 დეკემბერს შესდგა თფილისის საქონლის სადგურის ს. ს.-დემ. მ. პ. საზოგადო კრება. მოსმენილ იქნა ამხ. თიოფ. მეგრელიშვილის მოხსენება პარტიულ ორგანიზაციების მუშაობისა და „კომუნისტში" მოთავსებულ ბ-ნ ბარონის წერილის შესახებ და დაადგინა: მიესალმოს რკინისგზელთა მთავარ პროფესიონალურ კავშირებს და მოუწოდოს ამხანაგებს უხმაროთ მოეკიდონ იმ პროვოკაციულ მუშაობას, რასაც ადგილობრივი კომუნისტები ეწევიან.

დასასრულ მოხდა დელეგატების არჩევნები. აირჩიეს: არსენ მახარაძე და პორფილე ჯიბლაძე.

კრისტინეზაშვილი.

თფილისი. 30 ნოემბერს შესდგა სამმართველოს რაიონის ს. ს.-დ. მ. პარტიის წევრთა საზოგადო კრება. კრებამ მოისმინა ამხ. არ. რუხაძის მოხსენება გაზ. „ახალ კომუნისტში" მოთავსებულ ბ-ნ ბარონის წერილისა და „ერთობა"-ში მოთავსებულ საპასუხო წერილის შესახებ და გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც კრება მოითხოვს, რათა ეს საქმე სასტიკათ იქნეს გამოძიებული რკინისგზელთა მომავალ ყრილობაზე და დამნაშავენი, უკეთუ ასეთები აღმოჩნდებიან, პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი.

ოზურგეთი. 20 ნოემბერს შესდგა ს. ს.-დ. მ. პ. ოზურგეთის რაიონული კოლლექტივის მორიგი სხდომა. კრებამ მოისმინა მოხსენება ადგილიდან, საიდანაც გამოირკვა, რომ ერთეულის პრეზიდიუმის რეორგანიზაცია და ახალ კოლლექტივის წევრთა არჩევა ჯერ კიდევ არ მომხდარა ყველა უბნებში, რაც იმით აიხსნება, რომ გამუდმებული წვიმები იყო და ამხანაგებსაც ბევრი საოჯახო სამუშაო ჰქონდა.

კოლლექტივმა დაავალა ამხანაგებს საჩქაროთ გაატარონ ერთეულებში რეორგანიზაცია და შეადგინონ ახალ კოლლექტივების კანდიდატთა სია.

დასასრულ კოლლექტივმა იქონია მსჯელობა ქალაქის ხმოსანთა საარჩევნო კომპანიის სამზადისზე და გამოიმუშავა სათანადო ინსტრუქცია.

გახო.

ბორჩხა. 5 დეკემბერს დაბ. ბორჩხაში ისმაილ დადიძე—მარადიდელის თავმჯდომარეობით შესდგა კრება. პარტიისა და პარტიულ ორგანიზაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ის. რამიშვილმა, რის შემდეგ არჩეულ იქნა კოლლექტივი, რომელშიაც შედიან: თავმჯდომარეთ,—მუხამედი ხავნიძე. მდივნათ უადირ ხაუნიძე და წევრებათ: ზივერ ხიუნაძე, იბრაგიმ ქერაბიძე, ყადირ მიგნიძე, მეჯიდ ხაუნაძე, არენ ბაიძე.

თავმჯდომარე **მემედ ხავნაძე.**

კრების თავმჯდომარე **დიდიძე.**

ხ.-დ. მუხაანი. 26 ნოემბერს შესდგა ს. ს.-დ. მ. პარტიის წევრთა საერთო კრება. პრეზიდიუმის წევრი აცნობს კრებას, რომ მუხაანში მოეწყო სამტრედიის სახალხო გვარდიის ქვერაიონული შტაბი, რომელშიაც ჩაეწერა მოწინავე ამხანაგები რიცხვით 17.

შემდეგ არჩეულ იქნა სამი პირისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა ბინის შოვნა რაიონის სასამართლოსათვის. დასასრულ კრებამ დაადგინა წინადადება მისცეს მასწავლებელს გ. ლექვინაძეს, რათა მან არ გააცდინოს გაკვეთილები და არ მოაცდინოს ამით მოწაფეები სწავლას.

ს. ხხიავაშვილი.

პროვინცია

ახალციხე. 26 ნოემბერს ახალციხეში გაიხსნა მესხეთ ჯავახეთის სახალხო გვარდიის მესამე საოლქო ყრილობა. ყრილობას დაესწრო 29 დელეგატი, საოლქო შტაბის წევრები, მთავარ შტაბის წევრი გ. ფალავა და სხვ. ნ. ყრილობის თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ნ. ჩიმაკაძე, რომელიც მოკლე სიტყვაში ესალმება დელეგატებს. შემდეგ ყრილობას მიესალმა ერობის თავმჯდომარე ამხ. მიქელაიშვილი ერობის და ადგილობრივი ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის სახელით. მისალმების შემდეგ იწყება მოხსენებები და პირველ მოხსენებას აკეთებს მთავარ შტაბის წევრი გ. ფალავა. ამხ. ფალავამ ვრცელი მოხსენება წაიკითხა საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობაზე, და მასთან დაკავშირებულ საკითხზე. მოხსენებას საოლქო შტაბის სახელით აკეთებს საოლქო შტაბის თავმჯდომარე პ. მერაბიშვილი, რომელიც შეეხო ყოველმხრივ საოლქო შტაბის მუშაობას წლის განმავლობაში.

ბოლო მოხსენება გააკეთა მთავარ შტაბის რწმუნებულმა ნ. წივწივაძემ სრულიად საქართველოს სახალხო გვარდიის მეორე ყრილობის მუშაობის შესახებ.

ბოლოს მოხდა საოლქო შტაბის არჩევნები. არჩეულნი იქნენ ჯამაგირიან წევრებად: ძველი შტაბის წევრები გიორგი ჯვარიძე, ტროფიმე მაისურაძე და ნიკო ინასარიძე, მთავარშტაბის რწმუნებული ნიკო წივწივაძე და ჯავახეთის რაიონულ შტაბის თავმჯდომარე ეგნატე ფაჩულია.

უჯამაგირო წევრებად ერობის თავმჯდომარე მ. მიქელაიშვილი, ერობის გამგეობის წევრი შ. მაღლაკელიძე, უდის თემის თავმჯდომარე პ. მერაბაშვილი და ადგილობრივ ს. დ. კოლლექტივის წევრი—მომრიგებელი მოსამართლე ალ. ცისკარიძე.

ყრილობის მდივანი **ნ. ინასარიძე.**

გუდაუთის სამაზრო ერობამ 18 ნოემბერს დაადგინა: იქნას სრულიად დათხოვილი სამსახურიდან ამავე მაზრის მილიციის უფროსი ლ. ი. თოდუა სისხლისამართალში მიცემით, სხვადასხვა საქმის ნივთიერი საბუთების გაფლანგვისათვის, უფლების გადაგვარებისათვის და თანამდებობის ორგულად შესრულებისათვის.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! თქვენს პატივცემულ გაზეთში დაიბეჭდა ორი წერილი, კბილის ექიმის ალ. სოლოღაშვილისა (№ 266) და კბილის ექიმის ტ. ფალავასი (№ 268).

ზნეობრივ მოვალეობად ვსთვლი ქართული დრამის თეატრში კბილის ექიმის დანიშვნის შესახებ მოგაწოდოთ შემდეგი განმარტება: 12 ოქტომბრიდან წასული ვიყავ სარევიზიოდ დუშეთში; 20 ოქტომბერს დავბრუნდი თფილისში. ქუჩაში შემხვდა ბ. ალ. სოლოღაშვილი და მითხრა: დირექციაში განცხადება მაქვს შემოტანილი და რატომ პასუხს არ მაძლევთო. მეც ჯერ არა ვიცოდი რა და შევეკითხე ჩემს ამხანაგს—დირექციის წევრს პავლე დადვაძეს. მან მიპასუხა: „შემოსულია ორი განცხადება—ალ. სოლოღაშვილისა და ქ-ნ ფალავასი; კბილის ექიმად ჩვენ მოვიწვიეთ ქ-ნი ფალავასი".

ეს პასუხი გადავეცი ბ. სოლოღაშვილს.

ქ-ნი ფალავასი „ერთობაში"-ვე აცხადებს, რომ არც ის არის მიწვეული დირექციის მიერ...

ქართული დრამა უკვე გადავიდა მთლად მთავრობის ხელში და დრამატ. საზოგად. დირექცია გაუქმებულია 16 ნოემბრიდან; არ არსებულ დირექციის კვლავ შეკრება მე აღარ შემიძლიან, მაგრამ, ეჭვი არაა, ბ. დადვაძე დაადასტურებს თავის ნათქვამს („კბილის ექიმად მიწვეულია ქ-ნი ფალავასი") და ალბად განმარტავს კიდეც, რაშია საქმე: მიწვეულიცაა და არ არის მიწვეული....

ყოფილი დირექციის თავმჯდომარე
ნ შიუკაშვილი.

1920 წ. ნოემბრის 25.

პარტიული ფონდი*)

გთხოვთ მიიღოთ პარტიის ფონდისათვის 1000 მან.

დათიკო ქონიშვილი.

პარტიული ფონდის გასაძლიერებლათ გიახლებთ მცირედ წვლილს 1000 მ. **დ. ქარცივაძე, ი. მედიქიშვილი.**

ჩვენი ფოსტა

სამტრედია. სევ. ხვიჩიას. არ მიგვიღია.

---

*) 2000 მ. რედაქციამ მიიღო.

რედაქტორი ივანე ნათაძე.

განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებლები

ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს.
(3108—1—1)

ოთხი კლასის მოწმობაზე

მოსამზადებელ ჯგუფს მადგენ
ივნისისათვის. პლეხანოვის ქ 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან). 9—12 ს. 4—6. მაჩაიძის ბინა.
(3931 6—1)

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—7 საათამდე ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20. (5 იან.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 3 იანვ.

ქალი ექიმი
მარიამ ლუკას ასული
თოფურიძე პანიევი
იღებს საბებიო და ქალის სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათ. ველიამინოვის ქ. № 10, ტელეფ. 12—66. (2 იანვ.)

კერძო სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914".
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (28 დეკ.)

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914" და „606" შეშხაპუნება) კანის, ვენერიულის და საშარდო-სასქესო ავათმყოფობანი ავათმყოფების მიღება დილის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი). (1 იანვ.)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული სიფილისით (წამ. „606" და „914" ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლო ტელეფონი 18—95. 7 იანვ.

ქ. ზ. პარონაოვა
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება [illegible] საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (23—დეკ.)

ექიმი **მ. ა. შაურაძე**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. [illegible] ქ. № 33. (7 იანვ.)

ექიმი
ა. ს. პადაჭკორია
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს დილ. 12—2 ს. საღამოს 4—6 ს. ოლღას ქუჩა № 35. (18—დეკ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 12 დეკ.

ექიმი
ნ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 23, [illegible]

ექიმი
ი. ა. ტერ-ავაკუმოვი
გადავიდა კირკის ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ № 23. ვარანცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. „606" და 914" შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—6 საათ. (13 დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავათმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკერიასი
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროექტორ „აპოლონ" მახლობლად ტელეფ № 5—97 დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—დეკ.)

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნდისკოპია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 10 11 ნაშ. ს. საღ. 5 7 საათამდე. 13—დეკ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრონ კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 დეკ.

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ ბედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 28, ტელეფ. 7—91 (1—იანვ).

გამოვიდა გასასყიდათ
დიაგრამები
მათი მნიშვნელობა საერობო სკოლების და სტატისტიკოსებისათვის
ვლ. ტკაჩოვ ახობაძისა,

ფასი 100 მან.

უმთავრესი საწყობი ეროკავშირში ქურ. „ერთობის" ბინაზე (რუსთაველის პრ. № 24.) წიგნი იყიდება აგრეთვე წერა-კითხვის გამავრც. საზ. და განათლების წიგნის მაღაზიებში. (ნ. ნ—2)

საკუთარი სტამბა ერთობის ქუჩა № 4